# მუსლიმთა თემატიკის გაშუქება

## ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და თურქულ ტრადიციულ და ახალ მედიაში

MDF
მედიის განვითარების ფონდი

Hedayah
countering violent extremism

EUROPEAN UNION



# მუსლიმთა თემატიკის გაშუქება

## ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და თურქულ ტრადიციულ და ახალ მედიაში


MDF
მედიის განვითარების ფონდი

Hedayah
countering violent extremism

EUROPEAN UNION

ავტორები:

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲝᲤᲝ ᲒᲔᲚᲐᲕᲐ, ᲡᲝᲤᲝ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

მონიტორები:

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲐᲒᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲢᲘᲐ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ, ᲡᲝᲤᲝ ᲒᲝᲒᲐᲫᲔ, ᲛᲐᲠᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲠᲝᲛᲐ ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲑᲐ ᲢᲐᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მონაცემთა ანალიზი:

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ

რეცენზირება:

ᲑᲔᲥᲐ ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დიზაინი:

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

პროექტი დაფინანსებულია ჰიდაიას და ევროკავშირის გრანტით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, მიგნებები და რეკომენდაციები ეკუთვნით ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ჰიდაიას და ევროკავშირის პოზიციად.

# შესავალი

წინამდებარე ანგარიში მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგებს ასახავს. მედია მონიტორინგის მიზანი ახალგაზრდა მუსლიმებში რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა და ამ პროცესში მედიის როლის კვლევა იყო.

დაკვირვების საგანი ის ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და თურქული მედია საშუალებები გახდა, რომლებიც MDF-ის დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში მუსლიმმა ახალგაზრდებმა მათი ინფორმაციის წყაროებად დაასახელეს.

ანგარიშში მონიტორინგის მეთოდოლოგიის გარდა, ცალკე თავადაა შესული, თუ რა თემატიკას ანიჭებდნენ უპირატესობას სხვადასხვაენოვანი მედიები, ასევე ქართულ და რუსულ ტელევიზიებში ტერორიზმის გაშუქების მახასიათებლები. ანგარიშის I თავი ქართულ მედიას ეთმობა, II – რუსულს, III – აზერბაიჯანულს, IV – თურქულს, V-ში კი სოციალური მედიაა მიმოხილული.

# სარჩევი


მთავარი მიგნებები 7

მონიტორინგის მეთოდოლოგია 9

საერთო მონაცემები 13

ტერორიზმის გაშუქება ქართულ და რუსულ ტელევიზიებში 16

I. ქართული მედია 22
II. რუსული მედია 35
III. აზერბაიჯანული მედია 62
IV. თურქული მედია 64
V. სოციალური მედია 66

**დანართი.** მედია საშუალებების შესახებ 71

# მთავარი მიგნებები

კვლევის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ქართულ და რუსულ ტელევიზიებში მუსლიმებისა და მათთან დაკავშირებული თემების გაშუქების შედარება აჩვენებს, რომ რუსული მედია გაცილებით მეტ დროს უთმობდა ისეთი საკითხების გაშუქებას, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (32,8%), ტერორიზმი (28,5%), პოლიტიკა (15,5%).
- ქართულ ტელევიზიებში ტერორიზმის შემდეგ ყველაზე ფართოდ გაშუქებული ადამიანის უფლებების თემა (16,5%) შედარებით მწირად არის წარმოდგენილი რუსულ ტელევიზიებში (3,1%). ქართულ ტელევიზიებში ასევე უპირატესად არის წარმოდგენილი ისეთი თემები, რომელთაც უფრო ადგილობრივი ფოკუსი აქვთ.
- თუ ქართულ ონლაინ მედიაში ყველაზე ფართოდ ადამიანის უფლებები შუქდებოდა (22,2%), აზერბაიჯანულში უპირატესობა რელიგიას (23,9%), ხოლო თურქულში – საერთაშორისო ურთიერთობებს (21,7%) ენიჭებოდა.
- თუ ქართულ ტელევიზიებში ტერორიზმის თემატიკის გაშუქების ინტენსივობა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მომხდარი ტერაქტების პარალელურად იზრდებოდა, რუსულ ტელევიზიებში ტერორიზმის საკითხი მუდმივად წამყვანი თემა იყო და ხშირად ტერორიზმის დღის წესრიგის შექმნა ხელოვნურად ხდებოდა.
- მაშინ, როცა ქართული მედია აშშ-ის, ევროკავშირისა და თურქეთის ანტიტერორისტულ აქტივობებს აშუქებდა, თუ არ ჩავთვლით ერთეულ გამონაკლისს, რუსულ მედიაში ამ აქტივობების უგულებელყოფა ხდებოდა.  მეორე მხრივ, ქართული ტელევიზიები ნაკლებად აშუქებდნენ თავად რუსეთის, სირიის და მათი პარტნიორების ანტიტეროსტულ ოპერაციებს.
- ქართული მედია მუსლიმებსა და მათთან დაკავშირებულ თემატიკას მეტ-ნაკლებად ნეიტრალურად აშუქებდა. გამონაკლისი იყო „ობიექტივი“ და ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“, რომლის სარედაქციო პოლიტიკა რუსულ მედია საშუალებებთან უფროა ახლოს, ვიდრე მეინსტრიმულ ქართულ მედიებთან.
- ქართული ტაბლოიდური მედია („ობიექტივი“, „საქართველო და მსოფლიო“) ანტიმიგრანტული განწყობების გარდა, თურქეთთან მიმართებით ისტორიული ტრავმის გაღვივებას ახდენდა და საქართველოს თანამედროვე უსაფრთხოების პრობლემებიდან (რუსეთის ოკუპაცია) ყურადღება ისტორიულ საფრთხეებზე (ოსმალეთის იმპერიის ოკუპაცია) გადაჰქონდა.

- რუსული მედია საშუალებები (НТВ, 1 КАНАЛ, РТР ПЛАНЕТА, Sputnik-საქართველო) მუსლიმთა თემატიკას და მათთან დაკავშირებულ საკითხებს მეტწილად ანტიდასავლურ, პროპაგანდისტულ კონტექსტში აშუქებდნენ.
- რუსული ტელევიზიების წამყვანები საინფორმაციო გადაცემების ფორმატში ხშირად არ იცავდნენ ჟურნალისტურ ნეიტრალიტეტს და ისინი საკუთარ თავს რუსეთის ხელისუფლებასთან აიგივებდნენ, რომლის საპირწონედ აშშ და დასავლეთი იყო (ჩვენ vs. ისინი) წარმოდგენილი.
- Sputnik-ის ქართულენოვანი ონლაინ გამოცემა, ერთი შეხედვით, ამბის გადმოცემის ნეიტრალურ სტილს იყენებს, თუმცა ფაქტებისა და ფოტოების მანიპულაციური მოწოდებით, მიგრანტების თემის სპეკულაციური წარმოდგენით, იმავე ნარატივების შეფარვით დამკვიდრებას უწყობს ხელს, რასაც კომენტარებზე ორიენტირებული რუსული სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემები.
- რუსული მედია ტერორიზმს ისლამს, მიგრანტებსა და აღმოსავლური წარმომავლობის ეროვნებებს უკავშირებდა და ამკვიდრებდა აზრს, რომ ევროპის პოლიტიკა მიგრანტებთან მიმართებით ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, ხოლო აშშ ახალისებს ტერორიზმს.
- რუსული მედია ამკვიდრებდა აზრს, რომ ერთადერთი  უსაფრთხო სივრცე, სადაც ხალხი დაცულია, ИГИЛ-ი (ISIS) აკრძალულია და ხელისუფლებას ძალუძს ტერაქტების აღკვეთა, რუსეთია;
- რუსი ჟურნალისტები ხშირად დიქტატორული რეჟიმების გამართლებას ახდენდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ბრალდებები ბაშარ ალ-ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ უსაფუძვლოა.
- აზერბაიჯანული გამოცემები, სადაც დომინანტი რელიგიური თემატიკა იყო, უფრო კონსერვატიულ მიდგომებს ავლენდნენ (მაგალითად, რელიგიურ რიტუალებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ნეგატიურად გაშუქდა Big.az-ის შემთხვევაში).
- თურქული მედია თემების უმეტესობას ნეიტრალურად აშუქებდა, თუმცა ნეგატიური ტონი ძირითადად ტერორიზმს და თურქეთის დასავლეთთან ურთიერთობებს უკავშირდებოდა.

# მონიტორინგის მეთოდოლოგია

მედია მონიტორინგის მიზანია ახალგაზრდა მუსლიმებში რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა და ამ პროცესში მედიის როლის კვლევა.

დაკვირვების საგანია, თუ როგორ აშუქებს მედია, რომელიც სპეციფიურ სამიზნე აუდიტორიაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეირჩა, მუსლიმებს და მათთან დაკავშირებულ საკითხებს.

**სუბიექტები.** მონიტორინგის სუბიექტების შერჩევა 2017 წლის აპრილიდან – მაისამდე ახმეტის რაიონის (პანკისი), მთიანი აჭარისა და ქვემო ქართლის 16-29 წლის ახალგაზრდებს შორის მედიის განვითარების ფონდის დაკვეთით GIDC-ის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოხდა. კვლევის შედეგად, რომელშიც 1 206 რესპონდენტი მონაწილეობდა, გამოიკვეთა, რომ საქართველოს მოქალაქე მუსლიმები ინფორმაციის წყაროდ ქართულ, რუსულ, თურქულ და აზერბაიჯანულენოვან მედიებს იყენებენ. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტებად ოთხენოვანი მედია შეირჩა.

მონიტორინგის სუბიექტი ტელევიზიების პრაიმ-თაიმის საინფორმაციო გამოშვებები და ონლაინ გამოცემები ენობრივი ჯგუფების მიხედვით მოცემულია ცხრილში:

**ცხრილი 1. მონიტორინგის სუბიექტი ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემები და ონლაინ გამოცემები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ქართული** | TV | რუსთავი 2, კურიერი 21:00 (ორშ.-კვირა) | იმედი, ქრონიკა 20:00 (ორშ.-კვირა) | საზ. მაუწყებლის I არხი, მოამბე 20:00 (ორშ.-კვირა) | აჭარის საზ. მაუწყებელი, მთავარი, 21:00 (ორშ.-კვირა) |
| | **ონლაინ** | საქართველო და მსოფლიო | IPN | PIA | ნეტგაზეთი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსული | TV | NTV, Сегодня, 19:00 (პარას. შაბათი); Итоги дня 23:35 (ორშ; ხუთშ.), Итоги Недели 19:00 (კვირა) | 1 არხი, Время 21:00 (ორშ.-კვირა) | Planeta PTP, Вести 20:00 (ორშ.-კვირა) | |
| | ონლაინ | Sputnik-საქართველო (ქართულ ენაზე) | | | |
| თურქული და აზერ-ბაიჯანული | თურქული ონლაინ | Cumhuriyet.com.tr | Milliyet.com.tr | | |
| | აზერბაიჯანული ონლაინ | Oxu.az | Big.az | | |

მედია მონიტორინგი შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა, რაც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზს ითვალისწინებს. თვისებრივ ნაწილში ქართულენოვან მედიას შემდეგი ტელევიზიების თოქ-შოუს ფორმატები დაემატა:

1. „არჩევანი“ 22:00 (სამშაბათი და ხუთშაბათი), რუსთავი 2;
2. „მთავარი“ 22:00 (ორშაბათი და ოთხშაბათი), საზოგადოებრივი მაუწყებელი;
3. „ქრონიკა“ 20:00 (შაბათი), იმედი;
4. „ღამის სტუდია“ 22:30 (ორშაბათი-კვირა), ოქროს კვეთა (ყოველ მეორე კვირა დღეს) 20:30, ობიექტივი.

**რაოდენობრივი ანალიზი.** რაოდენობრივ ანალიზში დათვლილია შემდეგი მონაცემები:

- მუსლიმების შესახებ ან მათთან დაკავშირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო თემებზე მომზადებული სატელევიზიო სიუჟეტებისთვის დათმობილი დრო ტელევიზიების დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში; ონლიან მედიის შემთხვევაში სტატიის/პუბლიკაციის სიტყვების რაოდენობა;
- სიუჟეტის/ონლაინ მასალის გაშუქების ტონი: პოზიტიური, ნეიტრალური, ნეგატიური (**პოზიტიური:** გაშუქების სუბიექტი წარმოდგენილია პოზიტიურად; **ნეიტრალური:** გაშუქება ეყრდნობა მხოლოდ ფაქტებს, პოზიტიური ან ნეგატიური კონოტაციის გარეშე; **ნეგატიური:** სუბიექტი წარმოდგენილია ნეგატიურად, ბრალდებები და კრიტიკა ცალმხრივია, მთელი სიუჟეტი ნეგატიური კონოტაციის მატარებელია);
- მუსლიმებთან დაკავშირებით გაშუქებული თემატიკის მონიტორინგი წინასწარ განსაზღვრულ საკითხებზე ჩატარდა.

თემატიკის სია:

- პოლიტიკა;
- ჯარი/თავდაცვა;
- ეკონომიკა/ბიზნესი/სოფლის მეურნეობა;
- სოციალური საკითხები;
- სამართალი;
- კრიმინალი;
- განათლება;
- კულტურა;
- რელიგია;
- ეთნიკური უმცირესობები;
- ადამიანის უფლებები;
- დისკრიმინაცია;
- გენდერი;
- მიგრაცია/ემიგრაცია;
- დიასპორა;
- ინტეგრაცია;
- ტერორიზმი;
- საერთაშორისო ურთიერთობები (დასავლეთთან);
- საერთაშორისო ურთიერთობები (აღმოსავლეთის ქვეყნებთან);
- საერთაშორისო ურთიერთობები (რუსეთთან);
- საერთაშორისო ურთიერთობები (სხვა ქვეყნებთან);
- რეგიონული თანამშრომლობა (თურქეთთან);
- რეგიონული თანამშრომლობა (აზერბაიჯანთან);
- რეგიონული თანამშრომლობა (ირანთან);
- ახლოაღმოსავლეთის კონფლიქტები;
- კავკასიის კონფლიქტები.

რაოდენობრივ ნაწილში გაანალიზდა ასევე რომელ მედია საშუალებებს იყენებენ წყაროებად მონიტორინგის სუბიექტები საერთაშორისო ამბების გაშუქებისას მაშინ, როდესაც მათ მოვლენების ეპიცენტრში საკუთარი კორესპონდენტები არ ჰყავთ.

ანგარიშში ასევე მოცემულია მუსლიმთა მიმართ გამოყენებული ნეგატიური ტერმინები.

**თვისებრივი ანალიზი.** თვისებრივ ნაწილში, როგორც საინფორმაციო ტიპის მასალებში, ასევე ქართულენოვანი თოქ-შოუების შემთხვევაში, შემდეგი მონაცემები გაანალიზდა:

- მუსლიმებთან და იმ ეთნიკურ/ეროვნულ ჯგუფებთან მიმართებით, რომლებიც მუსლიმ თემს წარმოადგენენ, მათ შორის მიგრანტებთან დაკავშირებითაც, დისკრიმინაციული გაშუქების მაგალითები და დისკრიმინაციული გზავნილების ტიპოლოგია;
- დისკრიმინაციის წყაროები;
- დისკრიმინაციული ტერმინოლოგია;
- ანტიდასავლური გზავნილები, როცა ხდება დასავლეთის დადანაშაულება კონფლიქტების გაღვივებასა და ადგილობრივი პრობლემების შექმნაში;
- ანტიდასავლური გზავნილების წყაროები.

თვისებრივ ნაწილში დამატებით ქართულენოვანი თოქ-შოების გზავნილების და მათი წყაროების ანალიზის მიზანია გავარკვიოთ, თუ რამდენად უწყობს ქართულენოვანი ქსენოფობიური დისკურსი ხელს რადიკალიზაციის პროცესს. გარდა ნაციონალური დაფარვის 3 ძირითადი არხისა – რუს-

თავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი — მონიტორინგს დაემატა ტვ „ობიექტივი“, რომელიც ულტრა-მემარჯვენე პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული მედიასაშუალებაა და აღნიშნულ პარტიასთან ერთად მედიის განვითარების ფონდის 2016[1] წლის და 2014-2015[2] წლების კვლევების თანახმად, თურქოფობიული და ისლამოფობიური გზავნილების მთავარი მედიაწყაროა.

1 MDF (2016), სიძულვილის ენა. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/55
2 MDF (2014-2015), სიძულვილის ენა და ქსენოფობია. მედია მონიტორინგის ანგარიში. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/19

# საერთო მონაცემები

**ქართული და რუსული ტელევიზიები.** ქართულ[3] და რუსულ[4] ტელევიზიებში მუსლიმებისა და მათთან დაკავშირებული თემების გაშუქების შედარება აჩვენებს, რომ მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი – 15 სექტემბერი) რუსული მედია გაცილებით მეტ დროს უთმობდა ისეთი გლობალური საკითხების გაშუქებას, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (32,8%), ტერორიზმი (28,5%), პოლიტიკა (15,5%). როგორც დიაგარამა 1-ზე ჩანს, იგივე თემატიკა სამჯერ ან ორჯერ ნაკლებად არის წარმოდგენილი ქართულ ტელევიზიებში (ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები – 10%, ტერორიზმი – 16,8%, პოლიტიკა – 6,4%). ქართულ ტელევიზიებში ტერორიზმის შემდეგ ყველაზე ფართოდ გაშუქებული ადამიანის უფლებების თემა (16,5%) შედარებით მწირად არის წარმოდგენილი რუსულ ტელევიზიებში (3,1%). ქართულ ტელევიზიებში ასევე უპირატესად არის წარმოდგენილი ისეთი თემები, რომელთაც უფრო ადგილობრივი ფოკუსი აქვთ. ესენია: დისკრიმინაცია (10,7%) (რუსული ტვ – 2,4%), კრიმინალი (8,7%) (რუსული ტვ – 4,1%), რელიგია (4,6%) (რუსული ტვ – 1,6%), განათლება/კულტურა (3%) (რუსული ტვ – 1%).

ქართულ ტელევიზიებში, ისევე როგორც ონლაინ მედიაში, (იხ. დიაგრამა 2) ადამიანის უფლებების თემატიკის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე 2 მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლის (აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი, დემირელის სკოლის თურქი მენეჯერი მუსტაფა ჩაბუქი) დაკავების სამართლებრივ და უფლებრივ ასპექტებთან. აღნიშნული დაკავებები ქართულ მედიაში მეტწილად ქართულ ინსტიტუტებზე მეზობელი სახელმწიფოს გავლენის გამოხატულად იყო წარმოდგენილი.

3 რუსთავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
4 НТВ, 1 Канал, РТР-Планета

### ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ 1. ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ




**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲛᲔᲓᲘᲐ.** მიუხედავად იმისა, რომ სამონიტორინგო ონლაინ მედია გამოცემები ქვეყნების მიხედვით[5] არათანაბრად არის წარმოდგენილი, მათ მიერ გაშუქებული თემატიკის შედარება გარკვეულ ტენდენციებზე წარმოდგენას ქმნის.

თუ ქართულ ონლაინ მედიაში ყველაზე ფართოდ ადამიანის უფლებები შუქდებოდა (22,2%), აზერბაიჯანულში უპირატესობა რელიგიას (23,9%), ხოლო თურქულში საერთაშორისო ურთიერთობებს (21,7%) ენიჭებოდა. რუსული მედია, რომელიც მონიტორინგში, გამოკითხვის საფუძველზე, მხოლოდ Sputnik-საქართველოს სახით მოხვდა, ყველაზე ფართოდ აშუქებდა საქართველოს რეგიონულ თანამშრომლობას აზერბაიჯანთან, თურქეთთან და ირანთან (28,7%).

ტერორიზმის თემა ყველაზე მეტად თურქულ (14,9%) და აზერბაიჯანულ (14,2%) ონლაინ გამოცემებში იყო წარმოდგენილი. იმ პირობებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტი 4 ქართული და 1 რუსუ-

[5] ქართული (4): IPN, PIA, ნეტგაზეთი, საქართველო და მსოფლიო. აზერბაიჯანული (2): Oxu.az, Big.az. თურქული (2): Cumhuriyet, Milliyet. რუსული (1): Sputnik-საქართველო.

ლი ონლაინ მედია სუბიექტი იყო, ტერორიზმის თემა თითქმის თანაბრად იყო გაშუქებული რუსულ (11,5%) და ქართულ (11,4%) ონლაინ გამოცემებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსული Sputnik-საქართველო გაცილებით მეტ ადგილს უთმობდა ისეთი ადგილობრივი თემატიკის გაშუქებას, როგორიცაა განათლება/კულტურა (6,3%), კრიმინალი (5,6%), ეკონომიკა/ბიზნესი/სოფლის მეურნეობა (5%), ვიდრე ქართული, აზერბაიჯანული და თურქული გამოცემები.

### დიაგრამა 2. მუსლიმებთან და მათთან დაკავშირებული თემატიკა ქართულ, აზერბაიჯანულ, თურქულ და რუსულ ონლაინ გამოცემებში



# ტერორიზმის გაშუქება ქართულ და რუსულ ტელევიზიებში

გარდა იმისა, რომ რუსულ ტელევიზიებში[6] ტერორიზმის თემა ქართულ ტვ მაუწყებლებთან შედარებით[7] თითქმის 2-ჯერ მეტი მოცულობით შუქდებოდა (28,5%/16,8%), თავად გაშუქების დინამიკის შედარება აჩვენებს, რომ ხშირად რუსული ტელევიზიები ამ მიმართულებით დღის წესრიგს ან ხელოვნურად ქმნიდნენ, ან აშშ-ის და მისი მოკავშირეების ანტიტერორისტულ ოპერაციებს საერთოდ არ აშუქებდნენ.

როგორც დიაგრამა 3-ზე ჩანს, შედარების შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ქართულ ტელევიზიაში ტერორიზმის თემატიკის გაშუქების ინტენსივობა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მომხდარი ტერაქტების (პარიზი (2), ლონდონი (2), იერუსალიმი, ჰურგადა, ჰაქარის პროვინცია, ჰამბურგი, ავღანეთი, ლაჰორი, უაგადუგუ, ბარსელონა, ტურკუ, სურგუტი, ქაბული, კიევი, ბაგრამის ბაზა) პარალელურად იზრდებოდა. გაშუქების პიკი კი 17-19 აგვისტოს ბარსელონას ტერაქტის შემდეგ გამოვლინდა.
- ქართული ტელევიზიისგან განსხვავებით, რუსულ ტელევიზიებში ტერორიზმის საკითხი მუდმივად წამყვანი თემა იყო და ხშირად ტერორიზმის დღის წესრიგის შექმნა ხელოვნურად ხდებოდა. როგორც დიაგრამა 3-დან ჩანს, 25 ივნისს ქართულ ტელევიზიებში ტერორიზმის თემა საერთოდ არ გაშუქებულა, ხოლო რუსულ ტელეარხებზე 7 სიუჟეტი გავიდა, რომელთა უმეტესობა მიმდინარე დღის წესრიგის ნაწილი არ ყოფილა: ერთდროულად 3-ვე რუსულ არხზე გავიდა იდენტური შინაარსის სიუჟეტები, რომლებიც „ევროპის პოლიტიკის შედეგად" ევროპაში ტერორიზმის აღზევებას და ტერორიზმისგან ევროპული სივრცის დაუცველობას შეეხებოდა;[8] 3 სიუჟეტი რუსეთში ტელეგრამის შესაძლო აკრძალვაზე მომზადდა,[9] ხოლო 1 ISIS-იდან მომდინარე საფრთხეზე, რომელიც არასრულწლოვანთა ტერორისტებად წვრთნას უკავშირდებოდა.[10]

---

6 НТВ, 1 Канал, РТР-Планета

7 რუსთავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი

8 RTR Planeta, საგანგაშო ჯაჭვი, 25.06.2017http://www.myvideo.ge/v/3311373
1 Канал, ლონდონის შავი ივნისი, 25.06.2017https://goo.gl/7jW8ro
NTV, 25 ივნისი. https://goo.gl/iV4TEM

9 NTV, 25 ივნისი. https://goo.gl/wgGNFJ
1 Канал, მანკიერი კავშირი, 25 ივნისი. https://goo.gl/fqjtWZ RTR Planeta, რა ელის ტელეგრამს? 25 ივნისი http://www.myvideo.ge/v/3311346

10 NTV, 25 ივნისი. https://goo.gl/5n9Ymz

- მაშინ, როცა ქართული მედია აშშ-ის, ევროკავშირისა და თურქეთის ანტიტერორისტულ აქტივობებს აშუქებდა, თუ არ ჩავთვლით ერთეულ გამონაკლისს (ტერორიზმის ბრალდებით თურქეთში რუსეთის მოქალაქის დაკავება), რუსულ მედიაში ამ აქტივობების უგულებელყოფა ხდებოდა. მეორე მხრივ, ქართული ტელევიზიები ნაკლებად აშუქებდნენ თავად რუსეთის, სირიის და მათი პარტნიორების ანტიტერორისტულ ოპერაციებს, გამონაკლისი იყო 28 მაისს რაკაზე რუსეთის საჰაერო თავდასხმა და ცნობა ISIS-ის ლიდერის ალ-ბაღდადის სავარაუდო სიკვდილის შესახებ, რომელიც რუსთავი 2-ის გარდა, პრაიმ თაიმის საინფორმაციო გამოშვებებში ყველა სუბიექტმა გააშუქა. ასევე გამონაკლისი იყო 14 აგვისტოს რუსეთში ტერაქტის აღკვეთის შესახებ ცნობა, რომელიც ქართული ტელევიზიებიდან მხოლოდ აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააშუქა.

| თარიღი | ქართული ტელევიზიები (რუსთავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი) | რუსული ტელევიზიები (NTV, ORT, RTR Planeta) |
|---|---|---|
| **16 ივნისი** | 28 მაისს რაკაზე რუსეთის საჰაერო თავდასხმა/ ალ-ბაღდადის სავარაუდო სიკვდილი[11] | 28 მაისს რაკაზე რუსეთის საჰაერო თავდასხმა/ ალ-ბაღდადის სავარაუდო სიკვდილი[12] |
| **17 ივლისი** | თურქეთის ანტიტერორისტული ზომები: ISIS-თან კავშირის ბრალდებით რუსეთის 4 128 მოქალაქე თურქეთში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდა[13] | ------ |
| **8 აგვისტო** | აშშ-ის მიერ ფილიპინებზე ISIS-ის ბაზის განადგურების გეგმა[14] | ------ |
| **10-11 აგვისტო** | ტერორიზმში მონაწილეობის ბრალდებით თურქეთში რუსეთის მოქალაქის დაკავება[15];<br><br>ISIS-ის ვიდეომიმართვა — ტერორისტული ორგანიზაციის წევრები თეირანში ტერაქტებით იმუქრებიან[16] | ტერორიზმში მონაწილეობის ბრალდებით თურქეთში რუსეთის მოქალაქის დაკავება[17] |
| **14 აგვისტო** | რუსეთში ტერაქტის აღკვეთა[18] | რუსეთში ტერაქტის აღკვეთა[19];<br><br>რუსეთის და სირიის ანტიტერორისტული ოპერაცია სირიაში ISIS-ის წინააღმდეგ[20] |

11 GPB, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ცნობა ალ-ბაღდადის გარდაცვალებაზე, 16 ივნისი. http://www.myvideo.ge/v/ 3309576
იმედი, ლიკვიდირებულია თუ არა „ისლამური სახელმწიფოს ლიდერი?“ 16 ივნისი. https://www.myvideo.ge/v/3301112
აჭარის ტელევიზია, 16 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=U4vd7lhbiYQ

12 1 Канал, 16 ივნისი. https://goo.gl/J78JMi
NTV, ИГИЛ ლიდერის გარეშე? 16 ივნისი. https://goo.gl/D2s8Vd

13 აჭარის ტელევიზია, 17 ივლისი. http://www.myvideo.ge/v/3331879

14 იმედი, აშშ-ფილიპინები, 8 აგვისტო. http://www.myvideo.ge/?video_id=3349903
აჭარის ტელევიზია, 8 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3351842

15 რუსთავი 2, ტერორისტის დაკავება თურქეთში, 10 აგვისტო. https://www.myvideo.ge/?video_id=3351289
იმედი, თურქეთში რუსეთის მოქალაქე დააკავეს, 10 აგვისტო. http://www.myvideo.ge/?video_id=3351200
აჭარის საზ. მაუწყებელი, 10 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3353665

16 აჭარის საზ. მაუწყებელი, 10 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3353644

17 1 Канал, 10 აგვისტო. https://goo.gl/2D341L
NTV, 10 აგვისტო. https://goo.gl/3oiHyU
RTR Planeta, 10 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3353677
1 Канал, 11 აგვისტო. https://goo.gl/pv4UBi
RTR Planeta, 11 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3353817
NTV, დაჩქარებული შეთანხმება, 11 აგვისტო. https://goo.gl/ZNKnQG

18 აჭარის საზ. მაუწყებელი, 14 აგვისტო. https://www.myvideo.ge/v/3355280

17 1 Канал, 14 აგვისტო. https://goo.gl/Bv1Vrv
NTV, 14 აგვისტო. https://goo.gl/1F7xoz
RTR Planeta, 14 აგვისტო. https://goo.gl/PLBZtZ

20 1 Канал, 14 აგვისტო. https://goo.gl/g5Br5C

| | ქართული ტელევიზიები (რუსთავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი) | რუსული ტელევიზიები (NTV, ORT, RTR Planeta) |
|---|---|---|
| **23 აგვისტო** | ერაყის მთავრობა ქალაქ ტალაფარზე მასირებულ შტურმს ახორციელებს[21]<br><br>ბარსელონას ტერაქტში ბრალდებულის პროცესი მადრიდში[22] | რუსეთის სპეცოპერაცია ინგუშეთში ბოევიკთა დაჯგუფების წინააღმდეგ[23] |
| **25 აგვისტო** | ევროკავშირის ანტიტერორისტული ზომები: უსაფრთხოების ახალი ზომები ევროპაში[24] | რუსეთის, სირიის, ირანისა და ერაყის ანტიტერორისტული ოპერაცია ISIS-ის წინააღმდეგ – ოპერაცია დაირ ალ-ზურის ციხე-სიმაგრის ასაღებად[25] |
| **5 სექტემბერი** | ევროკავშირის ანტიტერორისტული ოპერაცია: სპეცოპერაცია პარიზში[26]<br><br>თურქეთის ანტიტერორიტული ოპერაცია: ტერაქტის აღკვეთა თურქეთში[27] | რუსეთის, სირიის, ირანისა და ერაყის ანტიტერორისტული ოპერაცია ISIS-ის წინააღმდეგ – დაირ ალ-ზურთან აეროდრომის გათავისუფლების სპეცოპერაცია[28] |
| **6 სექტემბერი** | ევროკავშირის ანტიტერორისტული ოპერაცია: სპეცოპერაცია პარიზში[29] | სიუჟეტი ციხის შესახებ, რომელშიც ISIS-ის რიგებში მონაწილეობის გამო რუსეთის მოქალაქეები არიან დაკავებულები[30] |

- აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ტელევიზიები ტერორიზმის თემატიკის გაშუქებისას შედარებით ნეტრალურ ენას იყენებდნენ. რუსული ტელევიზიის ჟურნალისტები კი ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების აღწერისას ხშირად საკუთარ თავს რუსეთის ხელისუფლების ქმედებებთან აიგივებდნენ („ჩვენი საჰაერო-კოსმოსური ძალების დარტყმის შედეგად", "ჩვენმა თვითმფრინავებმა"). საინფორმაციო გადაცემის ფორმატში ჟურნალისტური ნეიტრალობის დარღვევის ერთ-ერთი შემთხვევის დროს ორმა სხვადასხვა წამყვანმა ერთიდაიგივე მოვლენა დროის სხვადასხვა მონაკვეთში იდენტური ტექსტით აღწერა: სიუჟეტი, რომელიც რუსეთის ანტიტერორისტულ ოპერაციას და ISIS-ის ლიდერის აბუ-ბაქრ ალ-ბაღდადის სავარაუდო სიკვდილს შეეხებოდა რუსეთის პირველი არხის Время წამყვანმა ეკატერინა ანდრეევამ 11 ივლისს[31] და ამავე გადაცემის 16 ივლისის[32] წამყვანმა ვალერი ფადეევმა იდენტური ტექსტით წარადგინეს, რა დროსაც ხაზგასმა კეთდებოდა იმაზე, რომ რუსული ძალები ოპერაციებს ისეთი „მაღალი სიზუსტის წერტილოვანი დარტყმებით" ახორციელებდნენ, რომ შედეგად მიმდებარე ტერიტორიების, მათ შორის მეჩეთების, დაზიანება არ ხდებოდა.

---

21 იმედი, „ისლამური სახელმწიფო" ერაყში პოზიციებს კარგავს, 23 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3362204
22 იმედი, 23 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3362203
აჭარის საზ. მაუწყებელი, 23 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3365971
23 1 Канал, 23 აგვისტო. https://goo.gl/w6rRFv
24 საზოგადოებრივი მაუწყებელი, უსაფრთხოების ახალი ზომები ევროპაში, 25.08.2017 http://www.myvideo.ge/v/3365146
25 NTV, ოპერაცია სირიაში, 25.08.2017, https://goo.gl/aPp4nd
26 აჭარის ტელევიზია, 05.09.2017 http://www.myvideo.ge/v/3381237
27 აჭარის ტელევიზია, 05.09.2017 http://www.myvideo.ge/v/3381231
28 NTV, 05.09.2017 https://goo.gl/Lq2Khh
1 Канал, 05.09.2017 https://goo.gl/o1D9to
29 რუსთავი 2, სპეცოპერაცია პარიზში, 06.09.2017 http://www.myvideo.ge/v/3373998
იმედი, ანტიტერორისტული ოპერაცია პარიზის გარეუბანში, 06.09.2017 https://www.myvideo.ge/?video_id=3374038
30 1 Канал, 06.09.2017 https://goo.gl/iLQxqr
31 1 Канал, 11 ივლისი. https://goo.gl/1KMW1E
32 1 Канал, 16 ივლისი. https://goo.gl/3DXYT6




**ეკატერინა ანდრეევა (11 ივლისი), ვალერი ფადეევი (16 ივლისი), Время წამყვანები:**
"შეგახსენებთ, ადრე რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ შესაძლოა N1 ტერორისტი ჩვენი საჰაერო-კოსმოსური ძალების დარტყმის შედეგად გაანადგურეს. 28 მაისს რაკაში ჩვენმა თვითმფრინავებმა ბომბები დაუშინეს შენობების კომპლექს, სადაც ბანდიტების შეკრება იყო დანიშნული. დაახლოებით 300-მდე ტერორისტი გაანადგურეს. როგორც ჩანს, მათ შორის ალ-ბაღდადიც იყო. ასევე შეგახსენებთ, რომ მაღალი სიზუსტის წერტილოვანი დარტყმის შედეგად არც ერთი მეზობლად მდებარე შენობა, მეჩეთის ჩათვლით, არ დაზიანებულა".

## დიაგრამა 3. ქართულ და რუსულ ტელევიზიებში ტერორ



იზმის გაშუქების დინამიკა (15 ივნისი–15 სექტემბერი, 2017)



# I. ქართული მედია

ქართული მედია, ერთეული გამონაკლისების გარდა, მუსლიმებსა და მათთან დაკავშირებულ თემატიკას ნეიტრალურად აშუქებდა. ტელევიზიების უმეტესობისა და ცალკეული ონლაინ გამოცემების შემთხვევაში მეტად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მიმდინარე თემატიკა.

ტელევიზიების შემთხვევაში გამონაკლისი იყო „ობიექტივი", რომლის თოქ-შოუები თვისებრივ ნაწილში თურქოფობიული და ქსენოფობიური სარედაქციო პოლიტიკის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ; ონლაინ მედიაში კი ასეთ გამონაკლისად გამოცემა „საქართველო და მსოფლიო" შეიძლება განვიხილოთ, რომლის სარედაქციო პოლიტიკა რუსულ მედია საშუალებებთან უფროა ახლოს, ვიდრე მეინსტრიმულ ქართულ მედიასთან.

## 1. ქართული ტელევიზიები: რუსთავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი

**რაოდენობრივი მონაცემები.** 3 თვიანი მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი-15 სექტემბერი) მუსლიმებსა და მათთან დაკავშირებულ თემებს ყველაზე მეტი დრო ტვ „იმედის" საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკამ" (138 სიუჟეტი, 27 430 წმ) დაუთმო, რომელსაც მოსდევს საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხის გადაცემა „მოამბე" (100 სიუჟეტი, 25 926 წმ) და თითქმის თანაბრად რუსთავი 2-ის „კურიერი" (94 სიუჟეტი, 25 310 წმ). ყველაზე ნაკლები დრო დაუთმო მუსლიმების თემას აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებამ „მთავარი" (86 სიუჟეტი, 6 231 წმ), რაც მისი შედარებით მცირე ფორმატით არის განპირობებული.

ყველაზე ფართოდ ადამიანის უფლებების თემა რუსთავი 2-მა (21.9%), რაც ძირითადად აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქართველოდან გაუჩინარებას და დაპატიმრებას, ასევე დემირელის კოლეჯის მენეჯერის მუსტაფა ემრე ჩაბუქის, როგორც ფეთულა გიულენის ტერორისტული ორგანიზაციის „მიმდევრის", თურქეთის მხარის მოთხოვნით დაკავებას შეეხებოდა. საზოგადოებრივ მაუწყებელზე კი ადამიანის უფლებების თემა (12,2%) მხოლოდ აზერბაიჯანთან რეგიონალური თანამშრომლობის (15,5%), ტერორიზმის (14, 9%), ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების (13%) და დისკრიმინაციის (12,9%) შემდეგ გაშუქდა.

ქართული ტელევიზიებიდან ყველაზე ფართოდ ტერორიზმის თემა (23,6%) „იმედმა“ გააშუქა, შემდეგი რიგითობით კი – ადამიანის უფლებები (18%).

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები ყველაზე ფართოდ საზოგადოებრივ მაუწყებელზე (13%) და იმედზე (12,6%) გაშუქდა და ყველაზე ნაკლებად რუსთავი 2-ზე (4.2%), რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ საერთაშორისო ამბების ბლოკი პრაიმ თაიმის საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად საერთოდ არ გადიოდა.

რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველაზე ფართოდ რელიგიის საკითხები (23.8%) აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააშუქა, რაც ძირითადად ადგილობრივი მუსლიმების რელიგიურ დღესასწაულებს ეხებოდა. ფართოდ გაშუქდა ასევე დისკრიმინაცია (15.3%), რაც სხვა თემებთან ერთად, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის ნებართვის სადავო საკითხს უკავშირდებოდა და კულტურის თემა (9%).

### დიაგრამა 4. მუსლიმების და მათთან დაკავშირებული თემების გაშუქება ქართულ ტელევიზიებში – რუსთავი 2, იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი




**წყაროები:** მონიტორინგის სუბიექტი ტელევიზიები დასავლურ მედია საშუალებებთან ერთად წყაროებად შემდეგ მედიებს იყენებდნენ.

| უცხოური მედია წყაროები | რუსთავი 2 | იმედი | საზოგადოებრივი მაუწყებელი | აჭარის საზ. მაუწყებელი |
|---|---|---|---|---|
| **თურქული** | DHA | DHA, Haberturk, Huriet, Iha, MC eu | | TRT WORLD, Samsun Canli Haber |
| **არაბული** | | | SANA, Arab24 | |
| **აზერბაიჯანული** | APA | | APA | |
| **ერაყული** | Al Iraqiya | | Al Iraqiya | |

| უცხოური მედია წყაროები | რუსთავი 2 | იმედი | საზოგადოებრივი მაუწყებელი | აჭარის საზ. მაუწყებელი |
|---|---|---|---|---|
| ეგვიპტური | | | on-eg.com | |
| რუსული | Russia Today, Дождь | ПРАЙМ КРАЙМ, Россия | Russia Today | |
| უკრაინული | | KYIV OPERATIVE | Hromadske.ua | |

**კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში:** საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და აჭარის საზოგადოებრივმა არხმა თემების უმეტესობა 100%-იანი ნეიტრალური ტონით გააშუქეს, ხოლო რელიგიისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხები, რომელთა წილი საერთო გაშუქებაში მცირე იყო და ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ რელიგიური დღესასწაულების მილოცვებსა და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით გარკვეულ აქტივობებს ასახავდა – მეტწილად პოზიტიური ტონით.

ძირითადად 100%-იანი ნეიტრალური ტონით, ან გარკვეულ შემთხვევებში პოზიტიურით, გააშუქეს თემები რუსთავი 2-მა და „იმედმა“, თუმცა რამდენიმე თემა ორივე არხზე ნეგატიურ ტონში გაშუქდა. მაგალითად, რუსთავი 2-ზე ტერორიზმის ნეგატიური გაშუქება (18,8%) ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ევროპული საქართველოს წევრის გიორგი თარგამაძის მიერ მის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში პანკისის მკვიდრის შოთა ჭიჭიაშვილის[33] დადანაშაულებას შეეხებოდა[34]. „იმედზე“ კი ნეგატიურად იყო გაშუქებული დისკრიმინაციის თემა (19,1%) ქართულ მარშთან მიმართებით და განათლების საკითხი[35] (0,6%), რომელიც დემირელის კოლეჯისთვის ავტორიზაციის შეჩერებას შეეხებოდა.

## 2. სატელევიზიო თოქ-შოუ – ობიექტივი

თვისებრივ ნაწილში დაკვირვების საგანი დამატებით 4 ტელევიზიის თოქ-შოუ[36] იყო, რომელთაგან ქსენოფობიური შინაარსი მხოლოდ ულტრა-მემარჯვენე პოპულისტურ პარტია „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებულ ტვ „ობიექტივის“ თოქ-შოუებში გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ „ობიექტივი“ და „პატრიოტთა ალიანსი“ 2014-2016 წლებში ჩატარებულ კვლევებში თურქოფობიული განწყობების მთავარი წყაროა.

მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი-15 სექტემბერი) „ობიქტივის“ თოქ-შოუ „ღამის სტუდიაში“ სულ 46 დისკრიმინაციული შინაარსის კომენტარი გავიდა, აქედან 13-ის წყარო თავად გადაცემის წამყვანები იყვნენ, სხვა შემთხვევაში კი რესპოდნენტები (პატრიოტთა ალიანსი და სხვა პარტიები, საზოგადოების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები).

[33] 2005 წელს მას 22 წლით პატიმრობა მიესაჯა ადამიანების გატაცების, მკვლელობისა და ბანდიტიზმისთვის. მათ შორის ისეთი გახმაურებული საქმეებისთვის, როგორიცაა ბრიტანელი ბანკირის, ესპანელი ბიზნესმენების, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წევრების და პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილის გატაცებები.

[34] რუსთავი 2, P.S. 25 ივნისი. http://www.myvideo.ge/v/3309358

[35] იმედი, ქრონიკა, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს ავტორიზაცია შეუჩერდა, 30 აგვისტო. https://www.myvideo.ge/?video_id=3367857

[36] რუსთავი 2 („არჩევანი“), საზოგადოებრივი მაუწყებელი („მთავარი“), იმედი (შაბათის „ქრონიკის“ თოქ-შოუს სეგმენტი), ობიქტივი („ღამის სტუდია“, „ოქროს კვეთა“).

### დიაგრამა 5. სიძულვილის ენის ტიპოლოგია და წყაროები – ტვ „ობიექტივი“




„ობიქტივი“ რესპონდენტთა შერჩევასაც ქსენოფობიური სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად ახდენდა. გზავნილების ტიპოლოგია კი შემდეგი იყო:

- **მიგრანტების წინააღმდეგ.** მიგრანტთა არალეგალებად გამოცხადების გარდა, ხდებოდა გარკვეულ დანაშაულთან, მაგალითად, სექსუალურ ძალადობასთან, მათი გაიგივება (**ნინო რატიშვილი, წამყვანი:** „თუ, მაგალითად, ერთი და იგივე სახის დანაშაული ხდება ერთი და იგივე ქვეყნის წარმომადგენლის მიერ, ჩვენ უკვე უნდა დავფიქრდეთ, რომ რაშია საქმე?“[37]).
- **უცხოელი ინვესტორების წინააღმდეგ.** ძირითადი ქსენოფობიური გზავნილები აზიური იდენტობის უცხოელი ინვესტორების წინააღმდეგ იყო მიმართული (**ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი:** „სუფთად მაინც უნდა ეცვას და ახლა ეს ჩაბინძურებული ადამიანები რომ დადიან ქუჩაში, ამათი ინვესტორებად გამოცხადება რანაირად შეიძლება?!“[38]).
- **თურქოფობია/ისტორიული ტრავმის გაღვივება.** როგორც გადაცემის წამყვანები, ასევე მათი რესპონდენტები საქართველოს თანამედროვე საფრთხეებიდან (რუსეთის ოკუპაცია) აქცენტის გადატანას ისტორიულ საფრთხეებზე (ოსმალეთის იმპერიის ოკუპაცია) ცდილობდნენ, აღვივებდნენ რა ისტორიულ ტრავმას და ამკვიდრებდნენ აზრს, რომ არა მხოლოდ რუსეთია ოკუპანტი, არამედ თურქეთიც. (**ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი:** „რო გავა რა 100 წელი, რუსეთი აღარ იქნება ოკუპანტი? ეხლა თურქეთთან ზუსტად 100 წელია გასული, რაც წაგვართვა ეს ტერიტორიები[39]“. **ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „თუ რუსეთს აქვს მიტაცებული საქართველოს ტერიტორიების 22%-ზე მეტი, თურქეთს აქვს მიტაცებული 32%-ზე მეტი საქართველოს ტერიტორიების. ერთი საუკუნე არ არის გასული, რაც თურქეთმა წაგვართვა ეს ტერიტორიები, ესეიგი თურქეთი აღარ არის აგრესორი?[40]“).
- **ეთნონაციონალიზმი.** ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ ეთნიკური ქართველების უპირატესობის აღნიშვნას როგორც გადაცემის წამყვანი, ასევე რესპონდენტი ახდენდა (**ნინო რატიშვილი, წამყვანი:** „... გული მწყდება იმაზე, რომ საქართველოში სიდიდით მეორე, ყველაზე დიდი გვარი არის მამედოვი. მამედოვების წინააღმდეგი კი არ ვარ, მე გამეხარდება, რომ საქართველოში სიდიდით ყველაზე დიდი გვარი იყოს ქართული“[41]).

---

[37] ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 ივლისი, https://www.myvideo.ge/?video_id=3326008
[38] ობიექტივი, ღამის სტუდია 26 ივლისი. http://www.myvideo.ge/v/3339019
[39] ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 სექტემბერი. http://www.myvideo.ge/v/3374130
[40] ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 სექტემბერი. http://www.myvideo.ge/v/3374130
[41] ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 ივლისი. http://www.myvideo.ge/?video_id=3328619

## 3. ონლაინ მედია: IPN, PIA, ნეტგაზეთი, საქართველო და მსოფლიო

**რაოდენობრივი მონაცემები:** ყველაზე მეტი ინფორმაცია მუსლიმებსა და მათთან დაკავშირებულ თემებს საინფორმაციო სააგენტო IPN-მა დაუთმო (757 ინფორმაცია, 102 972 სიტყვა), რომელსაც მოსდევს სააგენტო PIA (380 მასალა, 46 569 სიტყვა). ონლაინ გამოცემა „ნეტგაზეთმა" 163 სტატია (47 873 სიტყვა) მოამზადა, ხოლო „საქართველო და მსოფლიომ" – 86 (58 498 სიტყვა).

ადამიანის უფლებების თემა ყველაზე პრიორიტეტული „ნეტგაზეთში" იყო, რომელსაც გამოცემამ ყველაზე მეტი სივრცე, პუბლიკაციების თითქმის ნახევარი (49.4%) დაუთმო. აღსანიშნავია, რომ „ნეტგაზეთი" ყველაზე თანმიმდევრულად და სიღრმისეულად აშუქებდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საეჭვო გარემოებებში დაკავების საკითხს, ასევე დემირელის სკოლის მენეჯერის თურქეთის მთავრობის მოთხოვნით დაკავების უფლებრივ ასპექტებს. ადამიანის უფლებების თემა პრიორიტეტულად გააშუქა ასევე IPN-მაც (26,4%).

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების თემა (20%) და ტერორიზმი (19,1%) ყველაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი სააგენტო PIA-ზე, სადაც ადამიანის უფლებებს მხოლოდ ამ 2 თემის შემდეგ დაეთმო ადგილი (9,9%).

„ნეტგაზეთში" ყველაზე ფართოდ შუქდებოდა საქართველოს რეგიონალური თანამშრომლობა თურქეთთან (7.1%) და აზერბაიჯანთან (3.3%).

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების საინტეგრაციო აქტივობები PIA-სა (1.3%) და IPN-ზე (0,8%) სამთავრობო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გავრცელებაზე გაფორმებულ საბიუჯეტო კონტრაქტების ფარგლებში შუქდებოდა და მასალები ფასიანის აღმნიშვნელი აკრონიმით (NS -News from subscriber) იყო განთავსებული.

### დიაგრამა 6. მუსლიმების და მათთან დაკავშირებული თემების გაშუქება ქართულ ონლაინ მედიაში – ნეტგაზეთი, IPN, PIA, საქართველო და მსოფლიო



**წყაროები:** დასავლური მედიების გარდა გამოცემები წყაროებად შემდეგ გამოცემებს იყენებდნენ:

| უცხოური მედია წყაროები | IPN | PIA | ნეტგაზეთი | საქართველო და მსოფლიო |
|---|---|---|---|---|
| **თურქული** | Anadoglu, Daily Sabah, Hurriet, DIken, Milliyet, T24 | Haberturk, Hurriyet, Yeni Safak, Turan, Sabah | CNN Turk , Hurriyet | |
| **რუსული** | | ТАСС, Риа новости, ИНТЕРФАКС, Dni.ru, Ura.ru | Кавказский Узел, Риа новости, Osinform.ru | ИЗВЕСТИЯ, Комсомольская правда, Взгляд, Sputnik Arabic, REN.tv, Риа Новости, Fodsk.ru, труд |
| **აზერბაიჯანული** | Meydan TV | APA, Trend | APA | |
| **არაბული** | SANA, SPA | | | |
| **ირანული** | IRINN | Tasnim | | |
| **ერაყული** | Al Sumaria | Al Sumaria | | |
| **ავღანური** | Tolo News | Tolo News | | |
| **ლიბიური** | | Libya Herald | | |

**კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში:** მონიტორინგის პერიოდში „ნეტგაზეთმა" თითქმის ყველა თემა 100%-ით ნეიტრალური ან გარკვეულ შემთხვევაში პოზიტიური ტონით გააშუქა. პოზიტიურად გაშუქდა ადამიანის უფლებები (8,1%) და სხვადასხვა თემები (8.8)%.

თემების უმეტესობა 100%-იანი ნეიტრალური ტონით გააშუქა IPN-მაც, პოზიტიურად კი სააგენტომ ისეთი თემები გააშუქა, როგორიცაა ჯარი/თავდაცვა (34.6%), რეგიონალური თანამშრომლობა ირანთან (22.7%), აზერბაიჯანთან (11,2%). ამ თემების პოზიტიური ტონი ძირითადად ხელისუფლების აქტივობებს უკავშირდება, ისევე როგორც ტერორიზმის გაშუქების პოზიტიური ტონი ერთ ინფორმაციაში (1,5%), რომელშიც საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელი ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს მიღწევებზე საუბრობს[42].

IPN- ზე ტერორიზმის ნეგატიურად გაშუქება კი (0,9%) პოლონეთის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის სათაურში ციტირებას („ის ადგილები, სადაც მუსლიმების დიდი კონცენტრაციაა, ტერორისტებისთვის ბუნებრივ ბაზას წარმოადგენს") და ტერორიზმის მუსლიმებთან და მიგრანტებთან დაკავშირებას შეეხებოდა[43]. კრიმინალის გაშუქების ნეგატიური ტონი (6,8%) ძირითადად ინფორმაციის

42 IPN, ირაკლი ბერაია – საქართველოს პროგრესი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აღიარებულია ჩვენი ამერიკელი და სხვა პარტნიორების მიერ, 21 ივლისი. http://bit.ly/2gbMMTd

43 21 აგვისტო. http://bit.ly/2g25Sra

სათაურებში აზიური ქვეყნების (თურქეთი და ირანი) წარმომადგენელ ბრალდებულთა ეროვნების იდენტიფიცირებას უკავშირდებოდა, რაც სტერეოტიპიზაციას და დანაშაულის გარკვეულ ეროვნებებთან გაიგივებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ იდენტური დასათაურები იკვეთება ქართული სააგეტო PIA-ს და რუსული Sputnik-საქართველოს შეთხვევაშიც.

## IPN-ის სათაურები

| |
|---|
| სასამართლომ მოზარდებთან გარყვნილი ქმედების მომზადებისთვის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.[44] |
| ბათუმის საქალაქო სასამართლომ თურქეთის მოქალაქეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.[45] |
| შსს ანაკლიაში ნარკოდანაშაულისთვის ირანის მოქალაქის დაკავების ფაქტზე ინფორმაციას ავრცელებს.[46] |
| თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოდანაშაულისთვის ირანის მოქალაქე დააკავეს.[47] |

PIA-ს გაშუქებაშიც პოზიტიური ტონი იმ ინფორმაციებს უკავშირდება, რომლებიც ხელისუფლების აქტივობებს ასახავს: კულტურა (87,4%), სოციალური საკითხები (87,2%), ჯარი/თავდაცვა (67,3%), განათლება (26,8%), რეგიონალური თანამშრომლობა აზერბაიჯანთან (19,6%), თურქეთთან (16,9%), ინტეგრაცია/ხელისუფლება (19,4%). ნეგატიურად გააშუქა PIA-მ დისკრიმინაციის თემა (44,6%), რაც ძირითადად „ქართული მარშის" მიერ ორგანიზებულ რასისტულ აქციას შეეხებოდა, რა დროსაც სააგენტო ცალმხრივად და უკრიტიკოდ ახდენდა აქციის ორგანიზატორთა რასისტული და ქსენოფობიური ნარატივების ტირაჟირებას. ნეგატიური ტონით გაშუქდა ასევე ადამიანის უფლებების თემა (8,9%), რაც განპირობებული იყო საქართველოდან გაუჩინარებული და აზერბაიჯანში დაპატიმრებული ჟურნალისტის აფგან მუხთარლის და მისი ოჯახის წევრის ერთ რესპონდენტზე დაყრდნობით, განმეორებითი, ცალმხრივი კრიტიკით[48]. ნეგატიური ტონი უკავშირდებოდა ასევე კავკასიის კონფლიქტების ერთ წყაროზე დაყრდნობით, ცალმხრივად გაშუქებას (7,4%) და კრიმინალს (5,4%).

44 20 ივნისი. http://bit.ly/2xxrSAI
45 9 აგვისტო. http://bit.ly/2xxe3Io
46 8 აგვისტო. http://bit.ly/2ybmBAy
47 9 სექტემბერი. http://bit.ly/2yeRHc4
48 მაგალითად, „რეჟისორის რწმენით, მესამე სექტორი „მეხუთე კოლონად" ჩამოყალიბდა". 28 ივნისი. http://bit.ly/2gvcQFK

დიაგრამა 7. კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში – PIA




PIA, IPN-ის და Sputnik-საქართველოს მსგავსად, სათაურებში კრიმინალის ეროვნულ იდენტობას-თან დაკავშირებას ახდენდა. ამასთანავე ერთ-ერთი დისკრიმინაციული მასალის ქსენოფობიურ სათაურში ირანელები საფრთხესთან იყვნენ გაიგივებული:

| PIA-ს სათაურები |
|---|
| საქართველოს ირანიზაცია ემუქრება? – საგანგაშო სტატისტიკა.[49] |
| ირანელს მოზარდებთან გარყვნილი ქმედების მომზადებისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.[50] |
| ჯვარზე მიშარდვის გამო ზესტაფონში ირანის მოქალაქეს სცემეს.[51] |
| "GEM fest"-ის ტერიტორიაზე ნარკოდანაშაულისთვის ირანის მოქალაქე დააკავეს.[52] |
| განმუხურში ნარკოდანაშაულისთვის ირანის მოქალაქე დააკავეს.[53] |

49 18 აგვისტო. http://bit.ly/2hzjryA
50 20 ივლისი. http://bit.ly/2yXIS42
51 10 ივლისი. http://bit.ly/2hZXRqF
52 8 აგვისტო. http://bit.ly/2wMOOvQ
53 7 აგვისტო. http://bit.ly/2yeax3v

**ქსენოფობია.** სააგენტომ გამოაქვეყნა ქსენოფობიური სტატია, სათაურით „საქართველოს ირანიზაცია ემუქრება? – საგანგაშო სტატისტიკა", რომელშიც ჟურნალისტი უვიზო მიმოსვლის ფარგლებში საქართველოში ირანელი ტურისტების რიცხვის ზრდას საფრთხეებთან აიგივებს და ამ პროცესს ულტრა-რადიკალაური ჯგუფის „ქართული მარშის" მოთხოვნებთან აკავშირებს.

> **ეკა ჭიღლაძე, ჟურნალისტი:** „ქართველთა მარში" რადიკალური მოთხოვნებით დაუპირისპირდა ხელისუფლებას – აღიკვეთოს უცხოელების მხრიდან ქართველებზე ძალადობა, კულტურული ძეგლების შეურაცხყოფა, უცხოელების მასობრივი და კომპაქტური ჩასახლება. ჯერჯერობით უცნობია, როგორ დაარეგულირებს ხელისუფლება უცხოელებისთვის მოქალაქეობისა თუ ბინადრობების მოწმობის გაცემის წესს, თუმცა **ირანელების მასობრივი მიგრაციის საფრთხე**, რაზეც ექსპერტები და პოლიტიკოსები საუბრობენ, რეალობისგან შორს ნამდვილად არ დგას[54]."

ქართული მედია საშუალებებიდან **„საქართველო და მსოფლიო"** ერთადერთი გამოცემაა, რომელიც მკვეთრად ნეგატიურად აშუქებდა მუსლიმებს და მათთან დაკავშირებული თემატიკის უმეტესობას. ერთადერთი თემა, სადაც ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი (26%) გამოვლინდა, აღმოსავლეთის ქვეყნების რუსეთის ფედერაციასთან საერთაშორისო ურთიერთობებია, რაც ასევე მაღალი ნეიტრალური ტონით (74%) გაშუქდა. სხვა შემთხვევებში, ნეგატიური ტონალობის სიჭარბე (პოლიტიკა, დისკრიმინაცია, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები, ტერორიზმი, ადამიანის უფლებები, ჯარი/თავდაცვა) ძირითადად გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სარედაქციო ან საავტორო თვალსაზრისებში გამოვლინდა, რაც მეტწილად ქსენოფობიურ და ანტიდასავლურ კონტექსტს ქმნიდა.

### დიაგრამა 8. კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში – „საქართველო და მსოფლიო"




**„საქართველო და მსოფლიო" – თვისებრივი კვლევა.** „საქართველო და მსოფლიოს" ავტორებმა სამონიტორინგო პერიოდში 28 ქსენოფობიური კომენტარი გამოაქვეყნეს, საიდანაც ყველაზე მეტი (10) თურქოფობიული ხასიათის ან მიგრანტების წინააღმდეგ იყო მიმართული (10); 3 კომენტარი ისლამოფობიური შინაარსის იყო, 3 – რასისტული, 2 კი სხვადასხვა ჯგუფებს შეეხებოდა.

[54] 18 აგვისტო. http://bit.ly/2hzjryA

ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ 9. ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲢᲘᲞᲝᲚᲝᲒᲘᲐ – „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ“




**ᲗᲣᲠᲥᲝᲤᲝᲑᲘᲐ (10).** თურქოფობიული ნარატივი ძირითადად ისტორიული ტრავმის გაღვივებაზე იყო ფოკუსირებული და ოსმალეთის იმპერიის დროინდელ ოკუპაციას რუსეთის ოკუპაციის საპირწონედ წარმოაჩენდა:

> **დავით მხეიძე, ავტორი:** „რუსეთი ოკუპანტია და თურქეთი მეგობარი? ვისაც ისტორიული მეხსიერების ყურთასმენა დახშული არ აქვს, დღესაც ესმის განწირული წივილ-კივილი ულამაზესი ქართველი გოგო-ბიჭებისა, რომლებსაც თურქი იანიჩარები სამი საუკუნის განმავლობაში სტამბოლის მონათა ბაზრისკენ მიერეკებოდნენ. ისტორიკოსთა ბოლოდროინდელი კვლევების შედეგების მიხედვით, სამი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის ველზე იმდენი ქართველი არ დაცემულა, რამდენიც სტამბოლის მონათა ბაზარზე გაიყიდა. ჰოდა, თუნდაც მხოლოდ ამიტომ ვერ დავსვამ ტოლობის ნიშანს თანამედროვე თურქეთსა და რუსეთს შორის[55]“.

ამასთანავე საქართველოს ინტეგრაცია ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში თურქეთის, როგორც ნატოს წევრი ქვეყნის ინტერვენციასთან და შესაბამისად საფრთხესთან იყო გაიგივებული:

> **იზა თამაზაშვილი, ავტორი:** „ნატოს შემოსვლა საქართველოში ნიშნავს თურქეთის შემოსვლას, რაც გაცილებით სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის[56]“.

**ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ (10).** ქსენოფობიური განცხადებები მიგრანტების მიმართ ძირითადად შემდეგ გზავნილებს შეიცავდა:

55 6 სექტემბერი, 2017. http://bit.ly/2xOA5I2
56 3 აგვისტო, 2017. http://bit.ly/2woGXE9

- ახლოაღმოსავლელი და ჩრდილოეთ აფრიკელი მიგრანტები სექსუალური მოძალადეები არიან („რაც შეეხება **მიგრანტების მხრიდან სექსუალურ ძალადობას**, ცნობილია, 2016 წლის ახალი წლის ღამეს როგორ დაესხნენ თავს ახლო აღმოსავლელი და ჩრდილოაფრიკელი მიგრანტები ქალაქ კელნში (გერმანია) გერმანელ ქალებს – აღრიცხულია 1000-მდე შემთხვევა... **არაბები კოლექტიურ თავდასხმას, კოლექტიურ სექსუალურ ძალადობას „თახარუშს" უწოდებენ**[57]").
- უცხოელების (იგულისხმება აზიური ქვეყნებიდან) შემოსვლა უნდა შეიზღუდოს („ახლავე, დღესვე უნდა გამოცხადდეს **მორატორიუმი** საქართველოში **უცხოტომელთა უკონტროლო შემოსვლაზე**[58]").
- უცხოელებისთვის მიწის გასხვისება ქვეყნისთვის საფრთხეა და უნდა შეიზღუდოს („განა ის, ვინც ქართულ მიწას ყიდის და საქართველოს მოქალაქეობას ურიგებს მათ, ვინც დედაბუდიანად სამუდამოდ მკვიდრდება საქართველოში, სამშობლოს მოღალატე არ არის?! შაჰ-აბასიც ცდილობდა საქართველოდან ქართველთა გასახლებასა და უცხოტომელების ჩამოთესლებას"[59]).
- მიგრაცია ქართველი ერის „დემოგრაფიულ კატასტროფას", „ეროვნული მენტალიტეტის ნგრევას" და ახალგაზრდების ქვეყნიდან გადინებას იწვევს („25 წელიწადს უნდა გაგრძელდეს **არაბების, ინდოელებისა თუ ჩინელების სოფლების მშენებლობა**, **ეროვნული მენტალიტეტის ნგრევა** და ახალგაზრდების გადინება ქვეყნიდან. როგორ ფიქრობთ, 25 წლის შემდეგ ამ ღვთისგან ნაბოძებ ქვეყანას კვლავ საქართველო ერქმევა?[60]").

**ისლამოფობია (3).** გამოცემა როგორც ისლამის ტერორიზმთან დაკავშირებას ახდენდა („ემანუელ მაკრონზე თავდასხმის მცდელობამ აიძულა ევროპა, გაიხსენოს, რომ ისლამისტი ლტოლვილები ერთადერთი საშინაო ტერორისტული საფრთხე არ არის[61]"), ასევე რწმენის საკითხს (მუსლიმები vs. მართლმადიდებლები) საგარეო პოლიტიკის დისკურსში განიხილავდა:

> **დავით მხეიძე, ავტორი:** „ბატონმა ჯანსუღმა [ჩარკვიანმა, ნებსით თუ უნებლიეთ, „მუსულმან-რუსულმანობის" აშკარად უადგილო ფუნაგორიით ტოლობის ნიშანი დასვა არაბებს, თურქსელჩუკებს, სპარსელებს, ოსმალებს, სხვა მომხვდურსა და რუსებს შორის, რაც ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველისთვის მიუღებელია თუნდაც მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ რუსეთი, ჩამოთვლილ მტერთაგან განსხვავებით, ერთმორწმუნე იყო[62]".

**რასიზმი (3).** გამოვლინდა რასიზმის 3 შემთხვევა, საიდანაც ერთ-ერთში გამოცემა, რუსულ წყაროზე დაყრდნობით, გლობალიზაციის ერთ-ერთ საფრთხედ თეთრი რასის გადაშენებას ასახელებდა:

> **ნიკა კორინთელი, ჟურნალისტი:** [ანდრეი ალექსეევის წერილის მიხედვით]: „ჩვენ ვცხოვრობთ რეალობაში, რომელშიც თეთრკანიან ქრისტიან ხალხებს ჯერ კიდევ კარგად არ გაუცვნიათ ერთმანეთი, მაგრამ აქტიურად ასიმილირდებიან სხვა რასებთან. ამრიგად, განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი გამოტოვებული. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არანაირი რასობრივი ჰარმონია არ არსებობს... ტოლერანტულობის დიქტატურის მიუხედავად, საუბარი რასობრივ

57 12 ივლისი, 2017. http://bit.ly/2ui2fFM
58 12 ივლისი, 2017. http://bit.ly/2ui2fFM
59 23 ივნისი, 2017. http://bit.ly/2tfbPbU
60 23 ივნისი, 2017. http://bit.ly/2t2UXp6
61 21 ივლისი, 2017. http://bit.ly/2tNkXRB
62 6 სექტემბერი, 2017. http://bit.ly/2xOA5I2

ომზე ევროპაში სულ უფრო აქტუალურია. საქმე ის კი არ არის, რომ ჩვენთვის მუსლიმური კულტურაა უცხო, არამედ ის, რომ ჯერ არ მოვმწიფებულვართ ურთიერთგაგებისთვის... თეთრი რასა მალე გადაშენდება[63]".

**ანტიდასავლური განწყობები (59).** ანტიდასავლური კომენტარების უმეტესობა (42) აშშ-ის წინააღმდეგ იყო მიმართული, 17 კი ზოგადად დასავლეთის, მათ შორის ევროპის, წინააღმდეგ და შემდეგი შინაარსისაა:

- სირიაში განვითარებულ მოვლენებში დამნაშავე ამერიკაა, ვაშინგტონი ეხმარება ტერორისტებს („სირიაში ტერორისტები, მათ შორის, „ალ ქაიდა", მარიონეტები არიან დასავლეთის მიერ სირიის არაბულ რესპუბლიკაში გაჩაღებულ ბინძურ ომში... ნებისმიერი ქმედება, რომელსაც დასავლეთი მიმართავს სირიის არმიის ან მთავრობის წინააღმდეგ, ეხმარება ტერორისტებს, რადგან სირიის არმია და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნის მთავრობა ძირითადი ძალაა, რომელიც „ბოევიკებს" ებრძვის[64]." „ვაშინგტონი გატაცებით ცდილობს, დაარტყას ასადსა და მის ირანელ მოკავშირეებს და არა „ისლამურ სახელმწიფოს[65]").
- ექსტრემისტული დაჯგუფებები აშშ-მა ცივ ომში საბჭოთა კავშირის დასამარცხებლად შექმნა („1970 წლის ბოლოსა და 1980-იან წლებში აშშ-მა, საუდის არაბეთმა და პაკისტანმა დააარსეს ექსტრემისტული ისლამურ-ვაჰაბიტური მოძრაობა, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა „ალ ქაიდად" და „თალიბანად". ეს გააკეთეს იმისთვის, რომ დაემარცხებინათ საბჭოთა კავშირი ცივ ომში და გამოეწვიათ პროსაბჭოთა რეჟიმის დესტაბილიზაცია ავღანეთში[66]").
- ამერიკა მფარველობს საუდის არაბეთს, რომელიც „სუნიტურ-ვაჰაბიტური იდეოლოგიის ბუდეა, რომელიც მხარს უჭერს „ალ ქაიდასა" და „ისლამურ სახელმწიფოსთან" დაკავშირებულ ჯიჰადისტებს. მათ საუდის არაბეთი აფინანსებს[67]".
- აშშ მოძალადეა („ბიოლოგიური ომი: აშშ ქოლერას იემენის მცხოვრებთა დასახოცად იყენებს[68]).
- საპროტესტო გამოსვლებს ახლო აღმოსავლეთში აშშ ახალისებს („ყატარი აშშ-ის მთავარი პარტნიორი გახდა „არაბული გაზაფხულის" პროცესში. საპროტესტო გამოსვლები ახლო აღმოსავლეთში მომზადებული იყო ამერიკული ცენტრების მიერ[69]").
- ევროპაში მიგრანტების სიმრავლე ფაშიზმის აღორძინებას უწყობს ხელს („ევროპის ქვეყნებში შუა აღმოსავლელი და ჩრდილოაფრიკელი ლტოლვილების მომრავლების ფონზე გაძლიერდა ნაციონალური განწყობა და დიდია ფაშიზმის აღორძინების საფრთხე"[70]. „ყოვლად გაუგებარია ის შემწყნარებლობა, რომელსაც ზოგიერთი ევროპული ქვეყანა იჩენს ისლამიზმის იმ ბუდეების მიმართ, რომლებიც მათ ტერიტორიებზე მოქმედებს[71]").
- ევროპული ინსტიტუტები საქართველოს დეპორტირებული მესხების რეპატრიაციას, რეგიონული ენების ქარტიის რატიფიცირებას და აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის დაცვას ავალდებულებს.

---

63 21 ივლისი. http://bit.ly/2vFtrfS
64 16 ივლისი, 2017. Global Researh–ის მიხედვით. http://bit.ly/2gcqZtX
65 28 ივნისი, 2017. http://bit.ly/2skV53D
66 9 აგვისტო, 2017. http://bit.ly/2yqwLvS
67 9 აგვისტო, 2017. http://bit.ly/2yqwLvS
68 9 აგვისტო, 2017. http://bit.ly/2yqwLvS
69 16 ივნისი, 2017. http://bit.ly/2tuku7l
70 21 ივლისი, 2017. http://bit.ly/2vFtrfS
71 5 ივლისი, 2017. http://bit.ly/2spgYuJ

- საქართველომ დასავლეთის ქვეყნების გამო ისტორიული ტერიტორიები დაკარგა („საქართველოს ამჟამინდელი „სტრატეგიული მოკავშირეების“ დამსახურებაა, რომ საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი (12 ათას კვ.კმ.-ზე მეტი) დღეს „ისტორიული მეგობრის“, თურქეთის, შემადგენლობაშია[72]“).

გამოცემა ასევე ხშირად აქვეყნებს ყალბ ინფორმაციებს დასავლეთის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი პუბლიკაცია ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი უფროსის ჯონ სკარლეტის ინტერვიუს ფაბრიკაცია იყო, რომელიც თავდაპირველად ბრიტანული Guardian-ის გაყალბებულ ვებ ვერსიაში გამოქვეყნდა[73]. აღნიშნული მასალა შეიცავდა კონსპირაციას იმის შესახებ, თითქოს რუსეთის დაშლის გეგმა ჩეჩნეთში, დაღესტანში, ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩერქეზეთში რადიკალი ისლამისტების მოსვლას ისახავდა მიზნად.

> **ჯონ სკარლეტი, ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი:** „ამერიკის და ბრიტანეთის [სადაზვერვო სამსახურების] გეგმის მეორე ეტაპი ითვალისწინებდა ჩეჩნეთში, დაღესტანში, ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩერქეზეთში ხელისუფლებაში რადიკალი ისლამისტების მოსვლას. გეგმის ამ ნაწილის უკან იდგა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, მი 6-ის, აგრეთვე, თურქეთისა და საუდის არბეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელ პირთა კონკრეტული შეხვედრები და, თუკი ისლამისტები მოახერხებდნენ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას რუსეთის რეგიონებში, ნატოს სამხედრო ძალები პრაქტიკულ წვდომას მიიღებდნენ კავკასიის რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილზე[74]“.

**ტერმინები:** გამოცემაში შემდეგი შინაარსის დისკრიმინაციულ და ანტიდასავლურ ტერმინებს ვხვდებით:

| მიგრანტები | რელიგიურ-ეროვნულ ჯგუფები | დასავლეთი |
|---|---|---|
| უცხოტომელები, უცხოტომელთა ჩამოთესვლა | მუსულმან-რუსულმანობა | ნატოს მიერ მხარდაჭერილი ტერორისტები |
| შემოჭრილი უწმინდური | მაჰმადიანთა ლაშქარი | იმპერიული ტერორიზმი (აშშ) |
| მტრად მოსული გადამთიელები | „ისტორიული მეგობარი“ თურქეთი | აშშ-ის ისლამიზაცია, #1 ტერორისტი ქვეყანა (აშშ) |
| ისლამისტი ლტოლვილები — საშინაო საფრთხე | ისტორიული მტერი (თურქეთი) | არაბული ნატო |
| თავსმოხვეული ლტოლვილები | | |
| ევროპის ისლამიზაცია | | |
| ათასი ჯურის გადამთიელი | | |
| არალეგალი მიგრანტები | | |

72 26 ივლისი, 2017. http://bit.ly/2v2fquS
73 მითების დეტექტორი, 16 აგვისტო, 2017. Geworld.ge და „საქინფორმი“ ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის გაყალბებულ ინტერვიუს აქვეყნებენ. http://mythdetector.ge/ka/myth/geworldge-da-sakinpormi-britanetis-sagareo-dazvervis-qopili-khelmdzghvanelis-gaqalbebul
74 16 ივლისი, 2017. http://bit.ly/2wPt03e

# II. რუსეთის მედია

რუსული მედია საშუალებები (НТВ, 1 КАНАЛ, РТР ПЛАНЕТА, Sputnik-საქართველო) მუსლიმთა თემატიკას და მათთან დაკავშირებულ საკითხებს მეტწილად ანტიდასავლურ, პროპაგანდისტულ კონტექსტში აშუქებდნენ. როგორც დიაგრამა 11-ზე ჩანს, ხშირად ტელეჟურნალისტები და გადაცემის წამყვანები თავად აკეთებდნენ ქსენოფობიურ და ანტიდასავლურ კომენტარებს, თავიანთ შეფასებებს კი ასევე რესპონდენტთა იდენტური მოსაზრებებით ამყარებდნენ. რუსული ტელევიზიების წამყვანები საინფორმაციო გადაცემების ფორმატში ხშირად არ იცავდნენ ჟურნალისტურ ნეიტრალიტეტს და ისინი საკუთარ თავს რუსეთის ხელისუფლებასთან აიგივებდნენ, რომლის საპირწონედ აშშ და დასავლეთი იყო (ჩვენ vs. ისინი) წარმოდგენილი:

> **ვალერი ფადეევი, წამყვანი:** „ამერიკელებმა სირიული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, **ჩვენს** პროვოცირებას ცდილობენ, მაგრამ ეს ყველაფერი საცოდავი ფაფხურია[75]".

> **ირადა ზეინალოვა, ჟურნალისტი:** „ ამას თითქოს ჰქვია კიდეც  დემოკრატიული გზა. ამის ახსნას **ვცდილობთ** ვაშინგტონისთვის[76]".

კომენტარებზე ორიენტირებული რუსული ტელევიზიების საინფორმაციო პროგრამებისგან განსხვავებით, ონლაინ პლატფორმა Sputnik-საქართველო, რომელსაც, როგორც რუსეთის მთავრობის პროპაგანდისტულ პროექტს, დაფუძნების დღიდან ჰქონდა სანდოობისა და ლეგიტიმურობის პრობლემა, განსხვავებულ ტაქტიკას მიმართავს. Sputnik-ის ქართულენოვანი ონლაინ გამოცემა ერთი შეხედვით ამბის გადმოცემის ნეიტრალურ სტილს იყენებს, თუმცა ფაქტებისა და ფოტოების მანიპულაციური მოწოდებით, მიგრანტების თემის სპეკულაციური წარმოდგენით, იმავე ნარატივების შეფარვით დამკვიდრებას უწყობს ხელს, რასაც კომენტარებზე ორიენტირებული რუსული სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემები.

75 Первый канал, Время, 25 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=sUiOse2hpQQ&index=17&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8Qs-jCRkHyusCYmLwI&t=9s

76 НТВ, "Итоги недели" с Ирадой Зейналовой, 9 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=QLOr7h8uOIw&feature=youtu.be

დიაგრამა 11. ქსენოფობია და ანტიდასავლური განწყობები რუსულ მედიაში მუსლიმთა საკითხების გაშუქებაში




მუსლიმთა თემატიკასთან დაკავშირებით რუსეთის მედია საშუალებები შემდეგი მოსაზრებების კულტივირებას ახდენდნენ:

- **ტერორიზმი/ისლამი/მიგრანტები:** ტერორიზმი უკავშირდება ისლამს, მიგრანტებსა და აღმოსავლური წარმომავლობის ეროვნებებს;
- **ევროპა/მიგრანტები/ტერორიზმი:** ევროპის პოლიტიკა მიგრანტებთან მიმართებით ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის; ევროპა დაუცველია ტერორიზმისგან;
- **რუსეთი/დაცული სივრცე/რუსეთში აკრძალული ИГИЛ-ი:** ერთადერთი უსაფრთხო სივრცე, სადაც ხალხი დაცულია, ИГИЛ-ი აკრძალულია და ხელისუფლებას ძალუძს ტერაქტების აღკვეთა, რუსეთია;
- **აშშ/ტერორიზმი:** აშშ ახალისებს ტერორიზმს;
- **რუსეთი/ტერორიზმი:** რუსეთი რეალურად ებრძვის ტერორიზმს; ამყარებს მშვიდობას სირიაში;
- **დიქტატორული რეჟიმების გამართლება:** ბრალდებები ბაშარ ალ-ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ უსაფუძვლოა; ლიბიაში განვითარებულ მოვლენებში დამნაშავე დასავლეთია;
- **მოძალადე აშშ:** აშშ დემოკრატიას ძალადობით ამკვიდრებს;
- **აშშ/საფრთხე:** აშშ ბიოსაფრთხეების წყაროა;
- **აშშ/კოალიცია/პასუხისმგებლობა:** კოალიცია აშშ-ის მეთაურობით[77] პასუხისმგებელია სირიაში მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლზე; დასავლეთის სანქციები სირიის მოსახლეობას აზარალებს.

[77] აშშ, ბრიტანეთი, კანადა, თურქეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, დანია.

## 2.1. HTB

**რაოდენობრივი მონაცემები:** მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი-15 სექტემბერი) დაკვირვება ტელეკომპანია HTB-ს პრაიმ თაიმის 3 საინფორმაციო გადაცემაზე – Сегодня[78]; Итоги дня[79], Итоги недели[80] ხდებოდა, სადაც მუსლიმ თემს ან მუსლიმებთან დაკავშირებულ საკითხებს 130 სიუჟეტი (საერთო ქრონომეტრაჟი 17 862 წმ) დაეთმო. ყველაზე დიდი წილი (34.4%) გაშუქებაში HTB-მ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს დაუთმო, რასაც მცირედი სხვაობით ტერორიზმის გაშუქება მოსდევს (32.4%). ჯამში, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებსა და ტერორიზმის თემატიკას მუსლიმებთან დაკავშირებულ გაშუქებაში ყველაზე დიდი წილი უჭირავს და თითქმის 70%-ს შეადგენს. ამასთანავე, ამ თემების გაშუქებაში ნეგატიური ტონიც საკმაოდ მაღალია. პოლიტიკის თემატიკა, სადაც უშუალოდ მუსლიმები ან მუსლიმური სამყარო სხვა საკითხებთან ერთად ფიგურირებს, შედარებით ნაკლებია და 8.8 %-ს შეადგენს. ადამიანის უფლებებს (5,1%) და მუსლიმი თემის დისკრიმინაციას (4.5%) HTB-მ მცირე დრო დაუთმო; საერთაშორისო ურთიერთობებს დასავლეთთან – 3,8%. ყველაზე მცირე დრო (0,1%) გაშუქებაში ირანთან ურთიერთობებს დაეთმო, რომელიც სხვადასხვა კატეგორიაში დაჯგუფდა. კატეგორიაში „სხვადასხვა" მოხვდა ასევე რელიგიის გაშუქებაც, რომლის ხვედრითი წილი 0,9%-ს შეადგენდა.

### დიაგრამა 12. HTB-ს მიერ მუსლიმების და მათთან დაკავშირებული თემების გაშუქება




**კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში:** 100%-იანი ნეგატიური ტონით გააშუქა HTB-მ მიგრაცია/ემიგრაციისა და დისკრიმინაციის თემები, რომელთა წილი საერთო გაშუქებაში 2,6% და 2,8% იყო (შესაბამისად). ყველაზე მაღალი ნეგატივით გაშუქდა ასევე 3 ძირითადი თემა: ურთიერთობები დასავლეთთან (81,1%), ტერორიზმი (57,9%) და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (47,7%). პოზიტიური ტონი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების თემატიკაში (17,8%) ძირითადად სირიაში რუსეთის ფედერაციის როლის დადებითად წარმოჩენას ისახავდა მიზნად და მოიცავდა ისეთ ასპექტებს, რო-

[78] 19:00 (პარასკ; შაბათი)
[79] 23.35 (ორშ; ხუთშ.). 6 ივლისიდან 21 აგვისტომდე არ გადიოდა ეთერში.
[80] 19:00 (კვირა). 9 ივლისიდან 27 აგვისტომდე არ გადიოდა ეთერში.

გორიცაა რუსეთის ჰუმანიტარული დახმარება სირიაში[81], რუსეთის დახმარებით საკულტო ნაგებობების აღორძინება[82], რუსეთის სამხედრო პოლიციის მეშვეობით დეესკალაციის ზონაში მშვიდობის დამყარება[83] და სხვა. ტერორიზმის თემატიკაში გაშუქების პოზიტიური ტონი (5,3%) ISIS-ის ლიდერის აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის სავარაუდო დაღუპვის შესახებ გავრცელებულ ცნობებს უკავშირდებოდა: სიუჟეტში ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთის წვლილის განსაკუთრებული როლის ხაზგასმა და პოზიტიურად წარმოჩენა ხდებოდა[84].

პოზიტიური ტონის მაღალი მაჩვენებელი (41,3%) ადამიანის უფლებების თემატიკაში, კრიმინალური გზით საზღვრის გადალახვის შედეგად, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების ზონაში მოხვედრილი ბავშვების რუსეთში დაბრუნების შესახებ სიუჟეტებს უკავშირდება, სადაც ასევე პოზიტიურად არის წარმოდგენილი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერ რამზან კადიროვის როლი ბავშვების რუსეთში დაბრუნების პროცესში[85].

### დიაგრამა 13. კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში – НТВ




**წყაროები:** ტელეკომპანია НТВ საერთაშორისო ამბების გაშუქებისას ძირითადად საკუთარ კორესპონდენტებს ეყრდნობოდა, ასევე იყენებდა დასავლურ გამოცემებს და ზოგიერთ შემთხვევაში, არაბულ (Arab24), სირიულ (sana.sy) მედია საშუალებებს, ასევე არაბულენოვან Russia Today-ს (arabic.rt.com).

81 НТВ, Сегодня, 9 აგვისტო. https://www.youtube.com/watch?v=TiEbIHZs6ac&index=77&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPII8Ssy
82 НТВ, Сегодня, 15 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=kqQihAZZX38&feature=youtu.be
83 НТВ, Сегодня, 24 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=kqQihAZZX38&feature=youtu.be
84 **ვლადიმერ კონდრატიევი, მიმომხილველი:** „ჯერ კიდევ ცოცხალია ალ-ბაღდადი თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში, ИГИЛ-ის წინააღმდეგ რუსი სამხედროების წარმატებული ოპერაცია დასტურია რუსეთის უმნიშვნელოვანესი წვლილისა მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“. НТВ, Сегодня, 16 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=dKZvATNwoew&t=16s&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPII8Ssy&index=3
85 НТВ, Сегодня, 10 აგვისტო. https://www.youtube.com/watch?v=1f0GxV6UcHo&index=79&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPII8Ssy

## თვისებრივი კვლევა

**დისკრიმინაცია:** ტელეკომპანია НТВ-ს პრაიმ თაიმის 3 საინფორმაციო გადაცემაში (Сегодня, Итоги Дня, Итоги Недели) ჟურნალისტების მხრიდან 10 დისკრიმინაციულ კომენტარს ჰქონდა ადგილი. ჟურნალისტურ კომენტარებში მეტწილად ტერორიზმის ისლამთან და მიგრანტებთან დაკავშირება ხდებოდა.

**სიძულვილის ენა/შუღლის გაღვივება/ისლამის დაკავშირება ტერორიზმთან.** გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც, 19 ივნისს ლონდონში მომხდარ ტერაქტთან[86] მიმართებით, გადაცემის წამყვანები და ჟურნალისტი მუსლიმებსა და ბრიტანეთის სხვა იდენტობის მოქალაქეებს შორის შუღლს აღვივებდნენ, ტერორიზმს ისლამთან აკავშირებდნენ, ხოლო ლონდონს საფრთხეებთან აიგივებდნენ, რაც სიუჟეტის და ჩართვის დროს ეკრანზე გამოტანილ სათაურებშიც აისახა:

სათაურები:

- „ტერაქტი ტერაქტისთვის“.
- „ძალადობის ქალაქი“.
- „მუსლიმების მოწინააღმდეგემ ტერაქტი მოაწყო“.

წამყვანების და ჟურნალისტის კომენტარები:

> **ანა იანკინა, წამყვანი:** „თავდასხმის ადგილი შემთხვევით არ შეარჩია. მძღოლი მუსლიმებს დაეჯახა, რომლებიც სკანდალურად ცნობილი მეჩეთიდან გამოვიდნენ. ის არაერთგზის დახურეს იმის გამო, რომ მიმსვლელთა შორის ექსტრემისტები იყვნენ“.

> **ვლადიმერ ჩერნიშოვი, წამყვანი:** „ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ტერორისტს ჰყავს თანამოაზრეები, რომლებიც იძიებენ შურს, ხოლო მუსლიმები უპასუხებენ ამას? მანკიერი წრე შეიკვრება და სიტუაცია ლონდონში აღარ დაექვემდებარება კონტროლს?“

> **ლიზა გერსონი, ჟურნალისტი:** „კი, ძველი „თვალი თვალის წილ“ გამოვიდა... თავდასხმის ის მეთოდი, რომელიც მან (თავდამსხმელმა) გამოიყენა, სინამდვილეში გამოგონილია სწორედ ისლამისტების მიერ.[87]“

საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტი სიძულვილის ენას იმ ტერორისტის მიმართ იყენებდა, რომელიც ISIS-ის დატოვების და ბრიტანეთში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა:

> **ლიზა გერსონი, ჟურნალისტი:** „მას შემდეგ, რაც მან [სალი ჯონსმა] გააკეთა [ISIS-ის ტერორისტებს შეუერთდა], მასზე მშობელი დედაც კი უარს იტყვის. სხვათა შორის, ნათესავებს ბრიტანეთში იმედი არ აქვთ, რომ მას ცოცხალს იხილავენ... რა თქმა უნდა, რაკას აღება ვერ შეაჩერებს საერთაშორისო ტერორიზმს, ისეთი ექსტრემისტები, როგორიც სალია, ედებიან

[86] გამვლელი ფურგონი ერთ-ერთ მეჩეთთან ხალხის ნაკადს დაეჯახა.

[87] Итоги дня, 19 ივნისი, https://www.youtube.com/watch?v=YGpRJQA70QY&t=1s&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPlI8Ssy&index=6

მთელ მსოფლიოს და აგრძელებენ ომს სხვა წერტილებიდან. ეს იმას ჰგავს, გველების ბუდე გაანადგურო, გველები კი ცოცხალი დატოვო, ისინი გავრცელდებიან“[88].

ამავე დროს, იგივე წამყვანი ლონდონში, 19 ივნისს მომხდარ ტერაქტზე საუბრისას, გარკვეულწილად თვითმკვლელი ტერორისტების იდეალიზებას ახდენს:

**ლიზა გერსონი, ჟურნალისტი:** „ისლამისტები ისლამოფობებისგან დიდად განსხვავდებიან არა მხოლოდ ფიზიკური მონაცემებით, არამედ შინაგანი ბუნებითაც, **ისლამოფობებს ეშინიათ სიკვდილის,** სწორედ ამიტომ ტერორისტი, რომელიც დღეს დააკავეს, პირველი ბრიტანელი ტერორისტია, რომელიც სპეცსამსახურებმა ცოცხალი აიყვანეს[89]“.

**ტერორიზმის დაკავშირება აღმოსავლური გარეგნობის პირებთან.** ჟურნალისტი, ერთი მხრივ, თავად ამკვიდრებს სტერეოტიპს, რომ კლასიკური გაგებით თანამედროვე ტერორისტი აღმოსავლური წარმომავლობის არის, მეორე მხრივ, ამ სტერეოტიპს ბრიტანეთის სპეცსამსახურებს მიაწერს.

**ლიზა გერსონი, ჟურნალისტი:** „მართლაც, თავდამსხმელი გარეგნულადაც არ ჰგავს **კლასიკურ, თანამედროვე ტერორისტს, მას წვერიც კი არ აქვს...** სპეცსამსახურებმა მას ტერორისტი უწოდეს მხოლოდ საღამოს, რადგანაც შესძლეს მათ თავში ჩაბეჭდილი კლიშე გადაელახათ: **„არ არის წვერი, არ არის ტერაქტი**[90]“.

**მიგრანტების დაკავშირება ტერორიზმთან/კრიმინალთან.** მიგრანტების თემა ტერორიზმთან მიმართებით ევროპის პოლიტიკის კრიტიკას უკავშირდებოდა (იხ. ანტიდასავლური განწყობები), რა დროსაც მიგრანტების ტერორიზმთან და კრიმინალთან დაკავშირება ხდებოდა.

**ვადიმ გლუსკერი, კორესპონდენტი:** „**იქ უკვე მას [მიგრანტს] ელოდებიან სხვა კრიმინალური ჯგუფები**, რომლებიც ეხმარებიან, რომ დაიმალოს იტალიაში... სადაც მიგრანტს შეუძლია დაუყოვნებლივ მოიპოვოს საცხოვრებელი – **კრიმინალური საცხოვრებელი, უფრო ზუსტად, საწოლი უკანონოდ წართმეულ ცარიელ სახლში**[91]“.

**ლიზა გერსონი, ჟურნალისტი:** „**ტერორისტი ნაციონალისტი** იყო, მაგრამ არა ერთადერთი. ინგლისში ძალიან ბევრნაირი ნაციონალისტური ძალაა, მათ სურთ შურისძიება ტერაქტების გამო და **ძალიან არ მოსწონთ მიგრანტების მოზღვავება**[92]“.

**ანტიდასავლური განწყობები.** НТВ-ს ჟურნალისტებისა და წამყვანების 38 ანტიდასავლური შინაარსის კომენტარი ძირითადად აშშ-ის ხელმძღვანელობით კოალიციის, ასევე ევროპის წინააღმდეგ იყო მიმართული. ანტიდასავლური გზავნილები ძირითადად მიზნად ისახავდა:

---

88 Итоги дня, 4 ივლისი, https://www.youtube.com/watch?v=ez5oBDePWzo&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPIl8Ssy&index=20

89 Итоги дня, 19 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=YGpRJQA70QY&t=1s&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPIl8Ssy&index=6

90 იქვე.

91 НТВ, "Итоги недели" с Ирадой Зейналовой, 10 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=cnKBeS3_7zs&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPIl8Ssy&index=134

92 Итоги дня, 19 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=YGpRJQA70QY&t=1s&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPIl8Ssy&index=6

- იმის დემონსტრირებას, რომ ტერორიზმისგან დაცული ერთადერთი უსაფრთხო სივრცე რუსეთია, სადაც ტერორისტული ორგანიზაციები აკრძალულია;
- აზრის დამკვიდრებას, რომ აშშ-ის და მისი კოალიციის ქმედებები ახალისებს ტერორიზმს, ხოლო ერთადერთი ძალა, ვინც ტერორიზმის წინააღმდეგ ქმედით ზომებს მიმართავს, რუსეთია;
- დიქტატორული რეჟიმების გამართლებას;
- მოსაზრების კულტივირებას, რომ ევროპის პოლიტიკა, მათ შორის, მიგრანტებთან მიმართებით, ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის (სათაურები: „ევროპის რადიკალიზაცია“, „ევროპული ხალიფატი“).

## ბაშარ ალ-ასადის ქმედებების გამართლება/მტკიცება, რომ მას ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია.

**ირადა ზეინალოვა, ჟურნალისტი:** „ავიღოთ გადატრიალება, რომელსაც ასე უჭერს მხარს ვაშინგტონი. იგივე ტილერსონი უკრაინაში გაფრენის წინ აცხადებს, მოსკოვი რეჟიმების შეცვლის წინააღმდეგია, ამიტომ ჩვენი კომპრომისია **ასადის ბედი** – ის გადაწყვიტოს მოსკოვმა ... დიახ, **მოსკოვი გადატრიალების წინააღმდეგია**. მოსკოვი ხელისუფლების ნორმალურად შეცვლის მომხრეა. ამას თითქოს ჰქვია კიდეც დემოკრატიული გზა. ამის ახსნას ვცდილობთ ვაშინგტონისთვის[93]“.

**ირადა ზეინალოვა, წამყვანი:** „ასე გამოიწვიეს ახალგაზრდა ადამიანები, ანახებდნენ ვიდეო რგოლებს, ძმაო, ნახე, ასადი წამლავს ბავშვებს ზარინით, უშველე მათ[94]“.

**რუსი ჟურნალისტის შეკითხვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერს ჰიზერ ნოიერტს:** რატომ ხართ დარწმუნებული, რომ *ასადი ქიმიური იარაღის გამოყენებას აპირებს?*
**ჰიზერ ნოიერტი:** იმიტომ, რომ ჩვენ ყველამ ვიცით, ასადმა უკვე გამოიყენა ქიმიური იარაღი თავისი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს არ არის საკმარისი?“
**ჟურნალისტი:** *„არ გეშინიათ, რომ ამ გაფრთხილებების გამო, ოპოზიციამ გამოიყენოს ქიმიური იარაღი და ასადს დააბრალოს?*[95]“

## მუამარ კადაფის რეჟიმის გამართლება. დასავლეთის დადანაშაულება ლიბიის მოვლენებში.

**ირადა ზეინალოვა, წამყვანი:** „ზუსტად ამგვარად ცდილობდა დასავლეთამდე ხმის მიწვდენას კადაფი [საუბრობს მიანმარის მოვლენებზე], რომელიც ირწმუნებოდა, რომ ლიბიას ექსტრემისტები დაესხნენ, რომ, რაც ხდებოდა, არ შეიძლებოდა ამისთვის *დემოკრატიული რევოლუციის სახელი* ეწოდებინათ. მას არავინ მოუსმინა. ახლა ლიბია განადგურებულია[96]“.

93 Итоги недели с Ирадой Зейналовой, 9 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=QLOr7h8uOIw&feature=youtu.be
94 Итоги недели с Ирадой Зейналовой, 10 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=7_PVMsdQKM8&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPII8Ssy&index=133
95 Итоги недели с Ирадой Зейналовой, 2 ივლისი https://www.youtube.com/watch?v=kECtFR9qkUg&index=18&t=32s&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPII8Ssy
96 НТВ, Итоги недели с Ирадой Зейналовой, 10 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=7_PVMsdQKM8&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPII8Ssy&index=133

## აშშ დემოკრატიას ძალადობით ამკვიდრებს

**ვლადიმერ ჩერნიშოვი, ჟურნალისტი:** „როგორ ეხერხებათ ამერიკელებს წერტილოვანი თუ მასობრივი დაბომბვებით შეიტანონ დემოკრატიული ფასეულობები, მთელმა მსოფლიომ იცის და ახსოვს[97]“.

## აშშ ახალისებს ტერორიზმს

**ირადა ზეინალოვა, წამყვანი:** *„ამერიკელებს ყველა ომი გაუხსენეს, მოსამზადებელი ბანაკები მუჯაჰედებისთვის პაკისტანში, რომელშიც დაიბადა ალ-კაიდა და ომი ერაყში, რის გამოც დაიბადა ИГИЛ-ი, ეს გაიხსენეს ბრიკსზე, რადგანაც ერთი ქვეყნის დიქტატი ამრავლებს ექსტრემიზმს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.* და ზუსტად ექსტრემიზმმა გააერთიანა ათიათასები იგილის დროშის ქვეშ და თავში ჩაჭედილი იდეისთვის დახოცვა ჩაუნერგა ისეთივე მოზარდებს, როგორებიც ივენტიევკაში იყვნენ... მოდით, ვიყოთ პირდაპირები, როდესაც ავღანეთში ომი დამთავრდა და საბჭოთა ჯარები გამოვიდნენ, *ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ გამოზრდილი 10 ათასი მუჯაჰედი უსაქმოდ აღმოჩნდა.* მათ არსად ელოდნენ, ისინი რაღაცით უნდა დაკავებულიყვნენ და ბინ ლადენმაც წაიყვანა ისინი ბოსნიაში. ИГИЛ-ელებსაც რაღაც უნდა მოუხერხონ[98]“.

## მტკიცება, რომ აშშ-ის და ნატოს ბრალდებები რუსეთის ტალიბანთან თანამშრომლობაზე დაუსაბუთებელია

**ირადა ზეინალოვა, წამყვანი:** „პენტაგონი რომ ნატოსთან ერთად აცხადებს, რუსები მხარს უჭერენ ტალიბანსო, ეს მოვისმინეთ, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთები ვერ ვნახეთ, ვერც ერთი[99]“.

## აშშ-ის და მისი კოალიციის დადანაშაულება მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვაში

**ვასილი მაქსიმენკო, ჟურნალისტი:** „ადამიანები მას (Russia Today-ის ჟურნალისტს) ეუბნებოდნენ, რომ დასავლეთის კოალიცია აშშ-ის თაოსნობით ახორციელებდა დარტყმებს განურჩევლად ყველაზე, იყენებდა აკრძალულ იარაღს, მათ შორის ფოსფორის ბომბებს[100]“.

## რუსეთი უსაფრთხო გარემოს ქმნის, დასავლეთის სანქციები სირიელებს აზარალებს:

**ლილია გილდეევა, წამყვანი:** „რუსეთის სამხედროების მცდელობას – სირიაში სამხრეთ-დასავლეთის დეესკალაციის ზონის შექმნის თაობაზე, უკვე მოაქვს ნაყოფი, მათ შორის პირდაპირი მნიშვნელობით: დარაას პროვინციის მცხოვრებლები უკვე დაუბრუნდნენ სა-

97 НТВ, Итоги дня, 22 აგვისტო. https://www.youtube.com/watch?v=EO7gTGJa3gE&index=111&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPIl8Ssy

98 Итоги недели с Ирадой Зейналовой, 10 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=k0e0ape2mj0&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPIl8Ssy&index=132

99 НТВ, Итоги недели с Ирадой Зейналовой 27 აგვისტო. https://www.youtube.com/watch?v=myZdMyLaoaU&t=4s.

100 НТВ, Сегодня, 30 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=V5CuzGQohWg&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPIl8Ssy&index=64

*მუშაოს მინდვრებში და კარგი მოსავალი მოჰყავთ... უსაფრთხო გარემოში მუშაობის შესაძლებლობის გამო ადგილობრივი ფერმერები მადლობას რუსეთის სამხედრო პოლიციის მებრძოლებს უხდიან...“*

**ალექსეი ივლიევი, კორესპონდენტი:** *„...დასავლეთის სანქციები მას [სირიელ ფერმერს] ევროპაში ექსპორტირების ნებას არ რთავს*[101]*“.*

**აშშ, როგორც ბიოსაფრთხეების წყარო/ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების დაკავშირება სახიფათო ვირუსებთან.** სიუჟეტი სათაურით „სასიკვდილო ინფექცია აშშ-ში“ შეეხებოდა აშშ-ში ეპიდემიის გავრცელების ჰიპოთეტურ საფრთხეს, რომელიც ვირთხის ფილტვის ჭიის (rat lungworm or Angiostrongylus cantonensi) ბაქტერიით შეიძლება გავრცელდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტმა ჩართვის დროს აღნიშნა, რომ ბაქტერიის გავრცელებას ლეტალური შედეგი არ მოსდევს, სიუჟეტის სათაური „სასიკვდილო ინფექცია აშშ-ში“ შეცდომაში შემყვანი იყო. უფრო მეტიც, გადაცემის წამყვანმაც და ჟურნალისტმა სატელევიზიო ჩართვაში აღნიშნული ბაქტერია ე.წ. „ზომბის დაავადებას“ და აღმოსავლეთის კონფლიქტებს ხელოვნურად დაუკავშირეს, რაც მანიპულაციური იყო და, ერთი მხრივ, საფრთხის, მეორე მხრივ კი, პროცესის ხელოვნურად მართულობის განცდას ქმნიდა.

**ვლადიმერ ჩერნიშოვი, წამყვანი:** „რამდენიმე თვის წინ ამერიკელმა მეცნიერებმა მსოფლიო ახალი საშიში დაავადებით დააშინეს, რომლის დროსაც თითქოს პარაზიტები სხეულის ლპობას იწვევენ, მას „ზომბის დაავადებას“ უწოდებენ“...

**ალექსანდრე ვესელოვსკი, ჟურნალისტი:** „...ორივე შემთხვევაში [ვირუსები აშშ-ში და საომარი მოქმედებების ზონებში] დაავადება პარაზიტებით გადადის. ლეიშმანიოზი, თუ, როგორც უწოდებენ, „ზომბის დაავადება“ აღმოაჩინეს ერაყში, სირიაში, ავღანეთში, იმ რაიონებში, სადაც აქტიური საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს. ექიმები თვლიან, რომ ეს დაავადება ვითარდება მკვდარი ადამიანის სხეულში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაუმარხავია და შემდგომ სხვადასხვა მწერების მეშვეობით გადაეცემათ ცოცხალ ადამიანებს. ექიმების აზრით, ის ამერიკელი ჯარისკაცისგან მოხვდა აშშ-ში[102]“.

**ევროპის პოლიტიკა, მათ შორის მიგრანტებთან მიმართებით, ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის**

**ვადიმ გლუსკერი, რეპორტიორი:** „კიდევ რა უნდა მოხდეს ევროპაში [ბარსელონას ტერაქტი], რომ ბოლო-ბოლო გამოფხიზლდეს და გათავისუფლდეს თავისი დაუდევრობისგან. მსგავსი სურათი, როდესაც სამართალდამცველთაგან არავინ არის ქუჩაში, ჩვენ ვნახეთ ბერლინში, სტოქჰოლმში, ლონდონში და, აი, ახლა ბარსელონაში[103]“.

---

101 НТВ, Сегодня, 15 აგვისტო. https://www.youtube.com/watch?v=4-wtTyUbevQ&index=93&list=PLoirvJ-GIzKog3AAel-_g4IMojPIl8Ssy

102 НТВ, Итоги дня, 4 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=svm5fyrqHQA&list=PLoirvJ-GIzKog3AAel-_g4IMojPIl8Ssy&index=21

103 НТВ, Сегодня, 19 აგვისტო. https://www.youtube.com/watch?v=cX5nEV-lIHI&index=104&list=PLoirvJ-GIzKog3AAel-_g4IMojPIl8Ssy

სათაური: „ევროპის რადიკალიზაცია“, „ევროპული ხალიფატი“

**ანა იანკინა, ჟურნალისტი:** „რადიკალური განწყობები იზრდება მშვიდ, უსაფრთხო შვეიცარიაში. ქვეყნის მთავრობა დაინტერესდა ლიბიელი იმამით, აბუ რამადანით, რომელიც 13 წელი ქადაგებებში მოუწოდებდა მრევლს რუსების, შიიტებისა და ებრაელების დახოცვისკენ... *ამ შეხედულებებმა მას ხელი არ შეუშალა, მთელი ამ დროის განმავლობაში მიეღო სოციალური დახმარება, ჯამში 620 000 დოლარი*[104]“.

**ირადა ზეინალოვა, წამყვანი:** „შვეიცარიაშიც კი, რომელიც მხარს უჭერს მერკელს, მიიღოს ყველაზე მეტი ლტოლვილი ერთ სულ მოსახლეზე, მათი უკან გაგზავნა დაიწყეს[105]“.

**ტერმინები:** НТВ ტერორიზმთან, მიგრანტებთან, მუსლიმური იდენტობის ადამიანებთან და დასავლეთთან მიმართებით შემდეგ ტერმინებს იყენებს:

| ტერორიზმი | მიგრანტები/მუსლიმები | დასავლეთი |
|---|---|---|
| რუსეთში აკრძალული ორგანიზაცია ИГИЛ-ი | მიგრანტების მოზღვავება | ამერიკული აგრესია |
| წვერებიანი ტერორისტი | კრიმინალური ჯგუფები (მიგრანტები) | ევროპის რადიკალიზაცია |
| მკვლელების ახალი თაობა | კრიმინალური საცხოვრებელი (მიგრანტების) | ევროპული ხალიფატი |
| ხალიფატის ბოკვერები | ურწმუნო თანატოლები | ვაშინგტონი ისევ „ქიმიკოსობს“ |
| ხალიფატის საშენი | ომის ლტოლვილები | დემოკრატიული ფასეულობები მასობრივი დაბომბვით |
| ურწმუნოთათვის ყელის გამომჭრელი | რადიკალური ისლამი | ამერიკული განსაკუთრებულობა |
| ცოცხალი ბომბი | მუსლიმების ბრბო | ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის გამოზრდილი მუჯაჰედი |
| ИГИЛ-ის ბავშვები – შენელებული მოქმედების ნაღმი | სიძულვილის მქადაგებელი იმამი | სახიფათო ატლანტიკური კავშირი |
| ტერორისტის დედა/ცოლი | | ნაციონალისტური დებოში |
| გველების ბუდე | | სკოლები – ექსტრემისტების მოსამზადებელი ბანაკები |

104 НТВ, Итоги дня, 24 აგვისტო. https://www.youtube.com/watch?v=JtxfdtEVIY8&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPII8Ssy&index=114

105 НТВ, “Итоги недели” с Ирадой Зейналовой, 10 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=cnKBeS3_7zs&list=PLoirvJ-GIzKog3AAeI-_g4IMojPII8Ssy&index=134

| | | |
|---|---|---|
| არაბული გარეგნობის ტერორისტი | | |
| შინგამოზრდილი ტერორისტი | | |
| ნაციონალისტი ტერორისტი | | |
| სიძულვილის თესლი/ სიძულვილის ენერგია | | |

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „რუსეთში აკრძალული ორგანიზაცია ИГИЛ-ი“ რუსეთის კანონმდებლობით[106] დადგენილი შინაარსობრივი ვალდებულებაა, რომლის დარღვევის შემთხვევაში მედია სანქციებს ექვემდებარება.

## 2.2. რუსეთის I არხი (1 КАНАЛ)

**რაოდენობრივი მონაცემები:** რუსეთის 1-მა არხმა (1 КАНАЛ) პრაიმ თაიმის საინფორმაციო გამოშვებაში Время მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი-15 სექტემბერი) მუსლიმი თემის საკითხების გაშუქებას 167 სიუჟეტი (27 277 წმ) დაუთმო. გაშუქების ყველაზე დიდი წილი ტერორიზმს (31.2%) და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს (24%) დაეთმო, რაც ჯამურად გაშუქების ნახევარზე მეტს შეადგენს (55,2%). პოლიტიკის საკითხებს, სადაც მუსლიმებთან დაკავშირებული თემატიკა ფიგურირებდა, საინფორმაციო გადაცემამ 23.7% დაუთმო; საერთაშორისო ურთიერთობებს დასავლეთთან, მუსლიმთა თემატიკის განხილვის ჭრილში – 9.6%; კრიმინალს – 3.9%; ადამიანის უფლებებს – 3.1%, ხოლო ჯარსა და თავდაცვას – 2,1%. ისეთი თემები, როგორიცაა რელიგია, კულტურა, საერთაშორისო ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ინტეგრაციის საკითხები 1 %-ზე დაბალი მაჩვენებლით გაშუქდა და ჯამში, 2.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში რუსეთის 1 არხს საერთოდ არ დაუთმია დრო ისეთი თემატიკის სიუჟეტებისთვის, რომლებიც მუსლიმთა დისკრიმინაციას ან მუსლიმთა მიგრაცია/ემიგრაციას ეძღვნებოდა. თუმცა, ეს საკითხები სხვადასხვა თემატიკაში ფიგურირებდა.

[106] Федеральный закон о противодействии экстремистской деятельности, 25 ივლისი, 2002 http://docs.cntd.ru/document/901823502

## დიაგრამა 14. 1 КАНАЛ-ის მიერ მუსლიმების და მათთან დაკავშირებული თემების გაშუქება




**კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში:** მაღალი ნეგატიური ტონით გააშუქა რუსეთის 1 არხის მთავარმა საინფორმაციო გამოშვებამ ტერორიზმის თემა (57%), ურთიერთობები დასავლეთთან (50,7%), რაც ძირითადად ტერორიზმისა და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს უკავშირდებოდა; ასევე თავად ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (47%); პოლიტიკა (32,5%) და კრიმინალი (21,1%). ამავე დროს, იმ თემებში, სადაც მკვეთრად ნეგატიური ტონი ჭარბობდა, გარკვეული საკითხები პოზიტიურად შუქდებოდა და ძირითადად რუსეთის როლის პოზიტიურად წარმოჩენას ემსახურებოდა. რუსეთის როლი პოზიტიურად იყო წარმოჩენილი ისეთ თემატიკაში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (19,9%),[107] ჯარი და თავდაცვა (36,7%)[108], ადამიანის უფლებები (57,1%)[109] და ტერორიზმი (11,3%)[110].

107 მაგალითად: „რუსეთის საომარმა საზღვაო ძალებმა სირიაში, ИГИЛ-ის ტერორისტებზე რაკეტა „კალიბრით" დარტყმა იუველირის სიზუსტით განახორციელეს". Первый канал, Время, 23 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=mM3sgmcqXNM&feature=youtu.be

108 „ხმეიმიმის" ავიაბაზაზე სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს თანამედროვე რუსული შეიარაღება აჩვენეს. Первый канал, Время, 27 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=6w1QcvPS_5Y&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwl&index=20

109 ბავშვები და ქალები, რომლებიც სირიიდან რუსეთში დააბრუნეს ჩეჩნეთის ლიდერის რამზან კადიროვის შუამავლობით. Первый канал, Время, 2 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=ZC8RbqvRhvI&index=135&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwl

110 სირიის არმიამ, რუსული სამხედროების მხარდაჭერით, ქვეყნის 85% ტერორისტებისგან გაათავისუფლა. Первый канал, Время, 2 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=jHOnCsO114c&index=158&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwl

### დიაგრამა 15. კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში – 1 КАНАЛ




**წყაროები:** რუსეთის პირველი არხი, НТВ-ს მსგავსად, საერთაშორისო ამბების გაშუქებისას ძირითადად საკუთარ კორესპონდენტებს ეყრდნობა და დასავლურ გამოცემებთან ერთად ასევე ზოგჯერ წყაროდ იყენებს ლიბანურ (Al Mayadeen) და ერაყულ (Alsumaria) სატელიტურ ტვ არხებს.

## თვისებრივი კვლევა

**მიგრანტების/მუსლიმების დაკავშირება საფრთხეებთან/ტერორიზმთან.** მონიტორინგის პერიოდში რუსეთის პირველი არხის პრაიმ თაიმის საინფორმაციო გამოშვებაში Время ჟურნალისტების მხრიდან 5 დისკრიმინაციული და რესპონდენტის 1 რასისტული კომენტარი გავიდა. ჟურნალისტურ შეფასებებში მეტწილად მიგრანტების და მუსლიმების ტერორიზმთან დაკავშირება ხდებოდა, რა დროსაც ხაზი ესმებოდა იმას, რომ ევროპა უსაფრთხო სივრცე არ არის. ამასთანავე ტერაქტების გამომწვევ მიზეზად საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა სახელდებოდა.

> **ანტონ ვოლსკი, რეპორტიორი:** „ბინების მცხოვრებლები უკმაყოფილოები არიან [მიგრანტების შესახლებით]. მათ არ სურთ კამერასთან საუბარი, მაგრამ კადრს მიღმა ამბობენ, რომ, რა თქმა უნდა, არ არიან რასისტები, მაგრამ ასეთი მეზობლობა ძვირადღირებულ უძრავ ქონებას ფასს დაუგდებს... როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, მზარდი უთანასწორობა საზოგადოებაში ბრიტანეთს შესაძლოა ახალი ტერაქტებით შემოუბრუნდეს[111]".

> **ანტონ ვოლსკი, რეპორტიორი:** ლონდონის მცხოვრებლები თითქოს 20 საუკუნის წინანდელ ეპოქაში დაბრუნდნენ, როდესაც ქალაქი შემოფარგლული იყო დიდი კედლით, რომელიც მას <u>ბარბაროსების შემოსევისგან</u> იცავდა... თუმცა ახლა *ბრიტანეთის მტრები უფრო ხშირად გარეთ კი არა, შიგნით არიან* [იგულისხმება მიგრანტები]... ტერორიზმს აქვს მიზეზი. თან ყველა სახეობას – თავისი... ამბობენ, რომ დამწვარი შენობა მხოლოდ პირველი ზარია, პოლიტიკოსების მოქმედების გამო ხომ არა მხოლოდ შენობას, არამედ მთელ ქვეყანას ესაჭიროება სასწრაფო რემონტი[112]".

111 Первый канал, Время, 25 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=EGmGNyvBpB8&index=19&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI

112 იქვე.

## ტერორიზმის დაკავშირება ისლამთან

**იანა პადზიუბანი, კორესპონდენტი:** „კატალონია მარჩიელობს, როგორ მოახერხეს ტერორისტებმა დაეფარათ თავიანთი გეგმები? ნუთუ თავდამსხმელთა ახლობლებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ?... ყველა ქუჩას თავისი მეჩეთი აქვს, ბევრი მათგანი ტერაქტების მერე დახურულია განმარტებითი წარწერების გარეშე. აღიარებენ, რომ თავდასხმის შემდეგ მრევლს ეშინია არა მხოლოდ ტერორისტების, არამედ მკვიდრი ბარსელონელების დამოკიდებულებისაც. მაგრამ მეჩეთი არ ცარიელდება, მტკიცებულება – სალოცავად გვეძახიან[113]“.

## რესპონდენტის რასისტული კომენტარის ციტირება

**ელვირა კაცბერტი, ექსკურსიამძღოლი [დიდ ბრიტანეთში]:** „გულწრფელად რომ ვთქვა, რა თქმა უნდა, არის რაიონები, სადაც დღის მონაკვეთშიც კი განსაკუთრებულად არ მიყვარს სიარული, ეს ძირითადად ეხება იმ ადგილებს, სადაც შავკანიანი მოსახლეობა ცხოვრობს, რადგანაც ისინი უფრო აგრესიულები არიან[114]“.

**ანტიდასავლური განწყობები.** პირველი არხის საინფორმაციო გადაცემა Время-ში წამყვანებისა და ჟურნალისტების 25 ანტიდასავლური შინაარსის კომენტარი გაკეთდა, საიდანაც უმეტესობა სირიის კონფლიქტში ბაშარ ალ-ასადის ქმედებების გამართლებას და აშშ-ის და მისი კოალიციის დადანაშაულებას შეეხებოდა.

## ბაშარ ალ-ასადის ქმედებების გამართლება/მტკიცება, რომ მას ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია

**ვალერი ფადეევი, წამყვანი:** „შენარჩუნებულია სირიის სახელმწიფოებრიობა, პრეზიდენტი ასადი ხელისუფლებაში რჩება, მაგრამ საქმე ასადშიც არ არის, საქმე თავად სახელმწიფოშია[115]“...

**მაქსიმ სემიონი, ჟურნალისტი:** „გამოძიების ნაცვლად ამერიკელებმა ავიაბაზა შაირათს დაარტყეს, *თითქოსდა, რაღაც საეჭვო აქტივობა შეინიშნებოდა... არადა, მათ იცოდნენ, რომ არ იყო არავითარი მტკიცებულება, რომ მთავრობამ ქიმიური იარაღი გამოიყენა და მეტიც, დარტყმა იყო განხორციელებული იმ ადგილას, სადაც ტერორისტების თავშეყრა იგეგმებოდა...* და თანაც *სირიის სამთავრობო არმია არა მარტო ებრძვის ტერორისტებს, არამედ აკეთებს ამას ძალზე ეფექტურად.* ლავროვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ შექმნილი სიტუაციით სარგებლობა მხოლოდ ბოევიკებს შეუძლიათ[116]“.

114 Первый канал, Время, 21 აგვისტო. https://www.youtube.com/watch?v=3LFZ5FRjZrY&t=46s
115 Первый канал, Время, 25 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=EGmGNyvBpB8&index=19&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCY
116 Первый канал, Время , 25.ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=sUiOse2hpQQ&index=17&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI&t=9s
117 Первый канал, Время, 29 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=SFbvW91GHQ4&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI&index=27

**ვიტალი ელისეევი, ჟურნალისტი:** „ტერორისტები ამზადებენ პროვოკაციებს ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომ შემდეგ ამით გამართლდეს ამერიკული დარტყმები სირიის სამთავრობო ძალებზე[117]“.

**ვალერი ფადეევი, წამყვანი:** „იქ [ვაშინგტონში] ყველაფერს თავისი საფრთხობელები ურჩევნიათ... *სირიის ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ მათ არ აქვთ ქიმიური იარაღი. თავის დროზე ის საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ გაიტანეს ქვეყნიდან... მაგრამ ვაშინგტონი იყენებს უეშმაკო რეცეპტს – აცხადებს, რომ ასადის რეჟიმი ქიმიური იარაღის გამოყენებას აპირებს და თუ ამას გააკეთებს, მასზე დარტყმით იმუქრება*[118]“.

## აშშ ახალისებს ტერორიზმს

**გრიგორი ემელიანოვი, ჟურნალისტი:** „[აშშ-ის] ოფიციალური ამოცანაა ე.წ. ზომიერი ოპოზიციის (სირიის ოპოზიცია) მომარაგება მათთვის კარგად ნაცნობი ძველი საბჭოთა იარაღით. *ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ექს-პრეზიდენტ ობამას დროს დაიწყო, როცა  სხვა სპეცოპერაციამ - ე.წ. ზომიერების (ასადის ოპოზიცია) მომზადებისამ – მარცხი განიცადა. მათთან მომუშავე ინსტრუქტორები, ფაქტობრივად, გამოტყდნენ, რომ სინამდვილეში ჯიჰადისტებს ამზადებდნენ*[119]“.

## რუსეთი რეალურად ებრძვის ტერორიზმს

**ევგენი ბარანოვი, ჟურნალისტი:** „რუსეთის მიზნები სირიაში ჩვენი ოპერაციის დაწყებისთანავე იყო გაცხადებული და დღემდე უცვლელი რჩება: თავისი საზღვრების სიახლოვეს ტერორიზმის ბუდის მოსპობა, სირიის სახელმწიფოს და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, მომავალში რეგიონში საკუთარი ყოფნის გარანტიით... ИГИЛ-ი მარცხდება... დახოცილია რუსეთიდან და ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან სირიაში ჩასული ბევრი ტერორისტი. შესაბამისად, აქ, რუსეთში ტერაქტების საფრთხე შემცირებულია... ჩვენ სირიაში სტრატეგიულ *წარმატებას მივაღწიეთ.* ახლა ამერიკელები სხვა მიმართულებით ცდილობენ გამოძრომას[120]“.

## აშშ რუსეთის პროვოცირებას ცდილობს

**ვალერი ფადეევი, წამყვანი:** „ამერიკელებმა სირიული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, *ჩვენს პროვოცირებას ცდილობენ*, მაგრამ ეს ყველაფერი საცოდავი ფაფხურია. რუსეთს სირიაში სტრატეგიული წარმატება აქვს მოპოვებული და ეს ფაქტია[121]“.

---

117 Первый канал, Время, 6 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=CqMUsYdLgu8&index=46&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLw

118 Первый канал, Время , 2 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=loklrp-zmIQ&index=28&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI

119 Первый канал, Время, 13 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=_L3wKpdqD8w&index=156&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI

120 Первый канал, Время , 25 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=sUiOse2hpQQ&index=17&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI&t=9s

121 Первый канал, Время, 25.ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=sUiOse2hpQQ&index=17&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI&t=9s

## აშშ-ის და მისი კოალიციის დანაშაულება მშვიდობიანი მოსახლეობის დალუპვაში

**ეკატერინა ანდრეევა, წამყვანი:** „ახლა რაკას ქუჩებში გამალებული ბრძოლები მიმდინარეობს. ქალაქიდან ორგანიზებული ევაკუაცია არ მომხდარა, არ გახსნილა ჰუმანიტარული დერეფნები. მშვიდობიანი მოსახლეობა ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა – ტერორისტებისა და დასავლური კოალიციის[122]“.

## ტერორისტებზე დაყრდნობით აშშ-ის დანაშაულება მეჩეთის „დაგეგმილ აფეთქებაში“

**ვიტალი ელისეევი, ჟურნალისტი:** „კოალიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბოევიკებმა დაანგრიეს შენობა [მეჩეთი], როდესაც მას უახლოვდებოდნენ ერაყელი მეომრები. *ტერორისტები ადანაშაულებენ* ყველაფერში *ამერიკულ ბომბდამშენებს* და თუკი დააკვირდებით ამ კადრებსაც, ჩანს, რომ რამდენიმე აფეთქება ერთდროულად ხდება, შესაბამისად, *საქმე ეხება წინასწარ დაგეგმილ აფეთქებას*[123]“.

## დასავლეთის სანქციები სირიელებს აზარალებს

**კლიმ სანატკინი, ჟურნალისტი:** „ყოველდღიურად აღმოუჩენენ დახმარებას ადგილობრივ მოსახლეობას. წამლები არის, მაგრამ სანქციების გამო, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებიდან მოდის, კვლავ არ არის საკმარისი ანტიბიოტიკები, ინსულინი, პრეპარატები ონკოლოგიური დაავადებებით დაავადებულთათვის[124]“.

## დასავლეთის დანაშაულება ლიბიის მოვლენებში

**ვალერი ფადეევი, წამყვანი:** „ამის შედეგებს ლიბიაში ვხედავთ: ხალხს ხოცავენ, ეკონომიკა იშლება, ლტოლვილთა ნაკადებია[125]“.

**ტერმინები:** რუსეთის პირველი არხის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ტერორიზმთან, მიგრანტებთან, მუსლიმური იდენტობის პირებთან და დასავლეთთან მიმართებით შემდეგ ტერმინებს ვხვდებით:

---

122 Первый канал, Время, 25 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=vN5UDRHHDew&index=74&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI

123 Первый канал, Время, 22 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=LWYoAeng3LI&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI&index=12

124 Первый канал, Время , 9 ივლისი. https://www.youtube.com/watch?v=XuovEyqaqLY&index=41&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI

125 Первый канал, Время, 25 ივნისი. https://www.youtube.com/watch?v=sUiOse2hpQQ&index=17&list=PLoirvJ-GIzKrPj-a8QsjCRkHyusCYmLwI&t=9s

| ტერორიზმი | მიგრანტები/მუსლიმები | დასავლეთი |
|---|---|---|
| რუსეთში აკრძალული ორგანიზაცია ИГИЛ-ი/ე.წ. ჯაბჰატან-ნუსრა | ბარბაროსების შემოსევა (მიგრანტებთან მიმართებით) | ვაშინგტონის პროვოკაციები |
| ფსევდოხალიფატი | | ვაშინგტონის უეშმაკო რეცეპტი |
| რეალური ბრძოლა ИГИЛ-თან | | მუსულიმური ესპანეთი |
| ე.წ. ჯიჰადმობილი | | |
| ტერორისტული ინტერნაციონალი | | |
| ისლამისტური იატაკქვეშეთი | | |
| სატელეფონო ტერორიზმი | | |
| საუდიტები | | |
| დახურული, მძინარე | | |
| უჯრედები (ტერორისტული) ИГИЛ-ის ფანატიკოსები | | |

## 2.3. РТР ПЛАНЕТА

**რაოდენობრივი მონაცემები:** РТР-Планета-მ პრაიმ თაიმის საინფორმაციო გამოშვებებში (Вести, Вести Недели), 3 თვიანი მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი – 15 სექტემბერი), მუსლიმთა შესახებ და მათთან დაკავშირებულ თემებზე 167 სიუჟეტი (29 802წმ) მოამზადა. ყველაზე მეტი დრო არხმა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს (40.1%) და ტერორიზმს (23.8%) დაუთმო, რაც ჯამურად გაშუქების ნახევარს მნიშვნელოვნად აღემატება და 63,9%-ს შეადგენს. შემდეგ ადგილზეა პოლიტიკური თემატიკა (12.1%), რაც სხვა რუსული ტელეარხების მსგავსად, ასევე უმეტესად ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებსაც უკავშირდებოდა. კრიმინალის (5%) გაშუქებას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (თურქეთის და ირანის გარდა) ორმხრივი ურთიერთობების თემატიკა მოსდევს (3.5%). სხვა რუსულ არხებთან შედარებით, РТР-Планета-მ მეტი დრო დაუთმო მუსლიმებთან დაკავშირებულ რელიგიურ თემატიკას (3.4%) და ასევე დისკრიმინაციის საკითხებს (3.4%). სულ 2% დაუთმო ტელეარხმა მიგრაცია/ემიგრაციის თემას, 1.9% – ადამიანის უფლებებს, 1.3% – ჯარს/თავდაცვას, ხოლო 1.2% – კულტურას.

### დიაგრამა 16. PTP-ПЛАНЕТА-ს მიერ მუსლიმების და მათთან დაკავშირებული თემების გაშუქება




**კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში:** ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით გააშუქა PTP-Планета-მ პოლიტიკის (46,2%), მიგრაცია/ემიგრაციის (46%), ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების (42,5%), დისკრიმინაციის (42%), ასევე ტერორიზმის (24,5%) თემები.

მაღალი პოზიტიური ტონი რელიგიის თემის გაშუქებას (77,5%) უკავშირდება, რომლის წილი საერთო თემატიკაში 3,4%-ია. აღსანიშნავია, რომ რელიგიის თემა ძირითადად რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნას[126], ყირიმიდან[127] და ჩეჩნეთიდან[128] მომლოცველების მექაში წასვლას შეეხებოდა. ამავე კატეგორიაში მოხვდა ჩეჩნეთში მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობა, რადგან სიუჟეტის მიზანი ამ პროცესში ჩეჩნეთის მეთაურის რამზან კადიროვის პოზიტიური როლის წარმოჩენა იყო[129]. აღსანიშნავია, რომ რამადანის დღესასწაული მთლიანობაში პოზიტიურ ტონალობაში გაშუქდა, თუმცა სიუჟეტში ხელოვნურად იყო შემოტანილი ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოში" წასული მეომრების საკითხიც, რაც რუსულ მედიაში ტერორიზმის თემატიკის მუდმივად „გაცოცხლების" ტენდენციის გამოხატულებაა. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების გაშუქებაში პოზიტიური ტონი (25.4%), სხვა რუსული ტელეარხების მსგავსად, კონფლიქტში რუსეთის როლის დადებითად წარმოჩენას ისახავდა მიზნად.[130] მთლიანად 100%-იანი პოზიტიური ტონით გაშუქდა ადამიანის უფლებები, რომლის წილი საერთო გაშუქებაში 1,9%-ი იყო და სირიიდან რუსეთის მოქალაქე ბავშვების გამოყვანას უკავშირდებოდა, სადაც მთავარ აქტორებად რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელი, კერძოდ, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაური რამზან კადიროვი იყო წარმოჩენილი[131]. კულტურის (საერთო გაშუქება 1,2%) თემატიკაში პოზიტიური ტონი (45.1%) თათარეთში არსებული სალოცავის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვედრას შეეხებოდა[132].

126 РТР Планета, ВЕСТИ НЕДЕЛИ, 25 ივნისი. http://www.myvideo.ge/v/3311380
127 РТР-Планета, Вести, 14 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3355443
128 РТР-Планета, Вести, 18 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3360321
129 РТР-Планета, Вести, 14 აგვისტო.http://www.myvideo.ge/v/3355298
130 მაგალითად, „ე.წ. ზომიერი ოპოზიცია დროებით ზავს მხოლოდ რუსი სამხედროების გარანტიით დათანხმდა", 13 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3354690
131 РТР-Планета, Вести, მოსულში ნაპოვნი ბავშვები, 10 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3353687
132 РТР-Планета, Вести, 10 ივნისი. http://www.myvideo.ge/v/3327313

### დიაგრამა 17. კონტენტის ტონი - РТР-ПЛАНЕТА




**წყაროები.** РТР-Планета დასავლურ გამოცემებთან ერთად წყაროდ იყენებს სირიის საინფორმაციო სააგენტო Sana-ს, თურქულენოვან DNA-სა და ADANA-ს.

## თვისებრივი კვლევა

**ტერორიზმის და კრიმინალის ისლამთან და მიგრანტებთან დაკავშირება/ანტიევროპული განწყობები.** РТР-Планета-ს დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ВЕСТИ და ВЕСТИ НЕДЕЛИ გადაცემის წამყვანებმა და ჟურნალისტებმა 7 კომენტარი გააკეთეს, სადაც ისინი ტერორიზმს და კრიმინალს ისლამთან და მიგრანტებთან აკავშირებდნენ. ეს განცხადებები ევროპის სისუსტეების დემონსტრირებას ისახავდა მიზნად და ანტიდასავლური კონტექსტის შემცველიც იყო.

### კრიმინალის ისლამთან დაკავშირება/ევროპაში დანაშაულის ზრდა

**ანტონ ლიადოვი, ჟურნალისტი:** *„გაბოროტებული ახალგაზრდების მისამხრობად* მოქმედებენ სპეციალურად გადამზადებული ადამიანები და არა მხოლოდ ესპანეთში. დღე არ გავა, ევროპაში ინფორმაცია რომ არ გავრცელდეს ახალი შემთხვევის შესახებ. მარსელი, საფრანგეთი, შაბათი, დილის შვიდი საათი. დანით შეიარაღებული კაცი თავს ესხმის ფეხით მოსიარულეებს, დაშავდა სამი ადამიანი. ეს შემთხვევა ტერაქტად არ შერაცხეს, რადგან თავდამსხმელი ფსიქიკურად იყო დაავადებული. ბრუსელი, ბელგია, ხუთშაბათი. ჯარისკაცზე თავდასხმა დანით. *თავდამსხმელს მოგვიანებით უპოვნიან ყურანის ორ ეგზემპლარს, რომელიც თან ჰქონდა*[133]".

[133] РТР Планета, ВЕСТИ НЕДЕЛИ, 27 აგვისტო, http://www.myvideo.ge/v/3372490

## ევროპის პოლიტიკა მიგრანტებთან მიმართებით ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის

**ევგენი პოპოვი, წამყვანი:** „საკუთარი მოქალაქეების სიკვდილის საფრთხის შემთხვევაშიც კი, ევროპის ხელმძვანელობას არ სურს არაფრის შეცვლა. ბარსელონას ტერაქტის შემდეგ ანგელა მერკელმა ასეც თქვა, – ჩვენ არ მივცემთ უფლებას ამ მკვლელებს შეცვალონ ჩვენი ცხოვრების წესი. ე.ი. *კვლავაც მწვანე შუქი მიგრანტებისთვის. ტოლერანტობა არის ევროპული "სადნობი ქვაბი*[134]".

**სხვა ანტიდასავლური განცხადებები.** ამავე დროს გაკეთდა 37 კომენტარი, რომელიც ძირითადად აშშ-ს და სირიის კონფლიქტში მის მოკავშირეებს შეეხებოდა და ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებდა.

## ბაშარ ალ-ასადის ქმედებების გამართლება/მტკიცება, რომ მას ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია

**ანდრეი კანდრაშოვი, ჟურნალისტი:** „ვაშინგტონის მომდევნო ნაბიჯები გაშიფრულია, აპრილში განხორციელებულმა დარტყმამ სირიაზე უკვე გაუზარდა ტრამპს პირადი რეიტინგი. *მოსკოვში ამერიკის მსგავს ქმედებებს აფასებენ არა მხოლოდ როგორც ანტისირიულს, არამედ ასევე, როგორც ანტირუსულს... მოსკოვმა წარმოადგინა სირიაში ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის ეტაპობრივი გეგმა. და ახლა, ასადს აბრალებენ მომწამვლელი ნივთიერების გამოყენების სამზადისს, რომელიც მას უკვე დიდი ხანია აღარ აქვს. ზოგიერთი მონაცემებით, ფეიკების ცნობილი მწარმოებლები – „თეთრი ჩაფხუტები" რაღაცას საიდუმლოდ იღებენ სირიის ერთ-ერთ მორგში, ხოლო აშშ-ს ყველაფერი მზად აქვს ქვეყანაზე იერიშის მისატანად*[135]".

**ანდრეი კანდრაშოვი, ჟურნალისტი:** *„ახლა კი არის სერიოზული საშიშროება, რომ ექსტრემისტები სირიაში გამოიყენებენ ვაშინგტონის განცხადებას და თვითონ მოამზადებენ პროვოკაციას ქიმიური იარაღით*[136]".

## აშშ სირიაში უკანონოდ იმყოფება

**ევგენი პადუბნი, კორესპონდენტი:** *„ამერიკის სპეციალური საოპერაციო დანაყოფის სამხედრო მოსამსახურეები სირიაში უკანონოდ და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით მოქმედებენ*[137]".

134 РТР Планета, ВЕСТИ НЕДЕЛИ, 20 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3362213
135 РТР Планета, ВЕСТИ, 29 ივნისი. http://www.myvideo.ge/v/3313479
136 РТР Планета, ВЕСТИ. 28 ივნისი. http://www.myvideo.ge/v/3312363
137 РТР Планета, ВЕСТИ. 31 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3373295

## აშშ და კოალიცია ახალისებენ ტერორიზმს

**ანდრეი კანდრაშოვი წამყვანი:** „ამერიკული სპეცსამსახურები დეირ ეზურის მიდამოებიდან ახდენენ ИГИЛ-ის საველე მეთაურების ევაკუაციას. ამის შესახებ დღეს ჟურნალისტებს სამხედრო-დიპლომატიურმა წყაროებმა აცნობეს. *სირიის აღმოსავლეთ ნაწილში, ტერორისტების დაჯგუფებების განადგურებასთან ერთად, სულ უფრო მეტი ფაქტი ვლინდება საერთაშორისო კოალიციის ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან ИГИЛ-ის მხარეს მებრძოლთა პირდაპირი დახმარების შესახებ*[138]“.

## აშშ/დასავლეთი რეალურად არ ებრძვის ტერორიზმს

**დიმიტრი კისილოვი, ჟურნალისტი:** „... [აშშ] *თითქოს იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ*, თუმცა, ამასთან ყოველთვის *მხარს უჭერს იმ ტერორისტებს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ არიან. პუტინმა ეს თემა მაშინვე იგრძნო, ჩეჩნეთის მაგალითზე, როგორც კი აირჩიეს პრეზიდენტად...* ასევე ორპირობენ სირიაშიც, სადაც ამერიკელები მოქმედებენ მოწვევის გარეშე. თითქოს ებრძვიან ტერორისტებს, რეალურად კი წყვეტენ საკუთარ ამოცანებს რუსეთისთვის სირთულეების შექმნით[139]“.

## აშშ-ის და კოალიციის დანაშაულება მშვიდობიანი მოსახლეობის დალუპვაში

**ევგენი რაშკოვი, ჟურნალისტი:** „სირიის ალეპოსგან განსხვავებით, *მოსულში არ დატოვეს ჰუმანიტარული კორიდორები [კოალიციის ძალებმა]* და არ *შეწყვიტეს ცეცხლი მშვიდობიანი მოსახლეობისა და დაჭრილების გამოსაყვანად, რის გამოც მშვიდობიან მოსახლეობაში უზარმაზარი დანაკარგი იყო.* თითქმის მილიონი ადამიანია დევნილი[140]“.

## ამერიკული მედია „ნაციონალური კარტის“ გათამაშებას გეგმავს

**ანდრეი კანდრაშოვი, ჟურნალისტი:** *„აქცენტი ჩეჩნურ ენაზეა [რადიო თავისუფლების და ამერიკის ხმის პროგრამებში]. ალბათ გასაგებია, რასაც მოუყვებიან ჩეჩნებს რამზან კადიროვზე ამერიკიდან მოსული მითითებებით.* ფული იყოფა რიგი საინფორმაციო საიტებისთვის რუსეთის სხვადასხვაენოვანი რეგიონებისთვის. როგორც ჩანს, ამერიკელ სპეციალისტებს განზრახული აქვთ გაათამაშონ *„ნაციონალური კარტი“*. და ეს უკვე გვახსენებს 90-იან წლებში *ამერიკის ქრესტომათიულ მცდელობას, დაუფარავად დაერღვია ბალანსი რუსეთის კავკასიურ რეგიონებში. მაშინ კიდევ უფრო ფართო ინსტრუმენტები იყო გამოყენებული და თავის თავში მოიცავდა ამერიკული სპეცსამსახურების აქტიურ ქმედებებსაც. იმ ეპოქის ნარჩენები დღემდე შენარჩუნებულია. მაგალითად, ფინეთში დღემდე ბაზირებულია ექსტრემისტული საიტის „კავკაზცენტრის“ სერვერი. თავის დროზე, ის უცხოური ფულით დააფუძნა მოვლადი უდუგოვმა და, რა თქმა უნდა, მას საკუთარ ტრიბუნად იყენებდა შამილ ბასაევი. ახლა ამერიკის ერთ-ერთი ახალი მიზანი ყირიმია*[141]“.

---

138 РТР Планета, ВЕСТИ, 7 სექტემბერი. http://www.myvideo.ge/v/3377599
139 RTR PLANETA, ВЕСТИ НЕДЕЛИ, 25 ივნისი. http://www.myvideo.ge/v/3311338
140 RTR PLANETA, ВЕСТИ 20:00, 10 ივლისი. http://www.myvideo.ge/v/3327281
141 РТР Планета, ВЕСТИ НЕДЕЛИ, 6 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3350813

**ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ.** ტელეკომპანია ტერორიზმთან, მიგრანტებთან და მუსლიმი იდენტობის წარმომადგენლებთან, ასევე დასავლეთთან მიმართებით შემდეგ ტერმინებს იყენებდა:

| ტერორიზმი | მიგრანტები/მუსლიმები | დასავლეთი |
|---|---|---|
| რუსეთში აკრძალული ორგანიზაცია ИГИЛ-ი | გაბოროტებული ახალგაზრდები (მუსლიმებთან მიმართებით) | ევროპის ისლამიზაციის მოწინააღმდეგეები |
| ფსევდოხალიფატი/ ფსევდოხალიფატის ფანატები/ბარბაროსული ფსევდოხალიფატი | მიგრანტების უკონტროლო ნაკადი – ტერორისტების ტროას ცხენი | ქრისტიანული ესპანეთი/ არამუსლიმური ესპანეთი |
| აბუ ხამზას ოდიოზური მქადაგებელი დაუმარცხებელი ტალიბანი | პროვოცირებული მიგრანტთა ნაკადი | ტოლერანტობა – ევროპული „სადნობი ქვაბი“ |
| სატელეფონო ტერორიზმი | | ევროპის „კაბის ქვეშ შეძრომა“ (მიგრანტები) |
| | | გერმანული „ტოლერანტობა“ (მიგრანტთა მიმართ) |
| | | სიმხეცის შემთხვევა აშშ-ის არმიის მეთვალყურეობით |

## 2.4.SPUTNIK-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

**ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ:** სამთვიანი მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი – 15 სექტემბერი) Sputnik-საქართველომ მუსლიმებსა და მათთან დაკავშირებულ თემებზე 179 მასალა (37 441 სიტყვა) გამოაქვეყნა. იმის გათვალისწინებით, რომ გამოცემას რეგიონული ფოკუსი აქვს და ის ძირითადად საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს, სხვა სამონიტორინგო რუსული მედია საშუალებებისგან განსხვავებით, თემატური არჩევანი აქ გარკვეულწილად განსხვავებული და უფრო დივერსიფიცირებულია, რაც ქართული საინფორმაციო ველის გავლენას და ქართული მედიის განსხვავებულ დღის წესრიგს უნდა უკავშირდებოდეს. Sputnik-საქართველომ მონიტორინგის პერიოდში ყველაზე მეტი ადგილი დაუთმო საქართველოს რეგიონალურ თანამშრომლობას თურქეთთან (22.6%), თუმცა ტერორიზმის გაშუქება, სხვა რუსული მედია საშუალებების მსგავსად, აქაც მეორე დომინანტ თემად ფიგურირებს (11.5%), რასაც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (10.2%) მოსდევს. დისკრიმინაციის თემას გამოცემამ 6.4% დაუთმო, ადამიანის უფლებებს – 6.6%, რაც, ქართული მედია საშუალებების მსგავსად, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ავღან მუხთარლის საქართველოდან გატაცებას უკავშირდებოდა. 5,6% დაუთმო სპუტნიკმა კრიმინალის გაშუქებას, რა დროსაც ძირითადად ეროვნების იდენტიფიცირებით, აღმოსავლური ქვეყნების მკვიდრთა კრიმინალთან დაკავშირება ხდებოდა (იხ. თვისებრივი კვლევა). გამოცემაში ასევე თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი შემდეგი თემები: კულტურა (5,5%), რეგიონალურ თანამშრომლობა აზერბაიჯანთან (5%), ეკონომი-

კა/ბიზნესი (5%), პოლიტიკა (4,5%). როგორც დიაგრამა 18-ზე ჩანს, სხვადასხვა თემატიკა სპუტნიკზე შედარებით მცირედით, მაგრამ დივერსიფიცირებულად არის წარმოდგენილი.

### დიაგრამა 18. Sputnik-საქართველოს მიერ მუსლიმების და მათთან დაკავშირებული თემების გაშუქება




**კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში:** Sputnik-საქართველომ ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით (46,1%) მიგრაციის საკითხები გააშუქა, რომლის წილი საერთო თემატიკაში 1,4% იყო. მაღალი ნეგატიური ტონით გაშუქდა ასევე დისკრიმინაციის თემატიკა (36%), რომლის წილი საერთო თემატიკაში 6.4%-ს შეადგენდა. დისკრიმინაციის თემა ძირითადად ულტრა-რადიკალური მოძრაობა „ქართული მარშის" მიერ მიგრანტების წინააღმდეგ ჩატარებულ რასისტულ აქციას უკავშირდებოდა; ასევე ავსტრალიელი სენატორის მოთხოვნას ჩადრის აკრძალვის შესახებ.

ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონით გაშუქდა საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები აზიის ქვეყნებთან (59,4%), ასევე პოლიტიკის საკითხები (49,1%). სხვა თემები მეტნაკლებად ნეიტრალურად ან მცირედი პოზიტიური და ნეგატიური ტონებით ხასიათდებოდა.

### დიაგრამა 19. კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში – Sputnik-საქართველო






**წყაროები:** Sputnik-საქართველო წყაროდ რუსულ სახელმწიფო სააგენტო RIA Novosti-ს ყველაზე ხშირად იყენებდა (38). ასევე ეყრდნობოდა თავად Sputnik-ის საერთაშორისო ქსელს (Sputnik-აზერბაიჯანი, Sputnik-თურქეთი, Sputnik-mundo, Sputnik-ლატვია, Sputnik international); თურქულ (Milliyet, Hurriyet), ირანულ (ISNA), ყაზახურ (Телеканал Хабар 24), ასევე სხვადასხვა დასავლურ მედია საშუალებებს.

## თვისებრივი კვლევა

**ქსენოფობიური კონტექსტი/მანიპულაციური ფოტოები და სათაურები.** სხვა რუსული მედიებისგან და ქართული ტაბლოიდური გამოცემებისგან განსხვავებით, Sputnik-საქართველოს ჟურნალისტები ქსენოფობიურ კომენტარებს თავად არ აკეთებდნენ, თუმცა ქსენოფობიურ კონტექსტს მოვლენის აღწერისას ბექგრაუნდით, მონაცემების ინტერპრეტირებით, მანიპულაციური ფოტოებითა და სათაურებში კრიმინალთან აზიური იდენტობის მოქალაქეების დაკავშირებით ქმნიდნენ.

**ქართული მარში.** ულტრა-რადიკალური მოძრაობა „ქართული მარშის“ მიერ 15 ივლისს თბილისში გამართული რასისტული აქცია, რომელიც ორგანიზატორთა განცხადებით, ირანელების, არაბების და სხვა აზიური და აფრიკული ეროვნებების წინააღმდეგ იყო მიმართული, გამოცემამ ქსენოფობიურ კონტექსტში გააშუქა.

Sputnik-საქართველოს მიერ მომზადებული მასალების სარედაქციო ტექსტებში უცხოელების მოხსენიება მარშის ორგანიზატორთა შემოთავაზებული ფორმულირებით ხდებოდა, რაც ამკვიდრებდა აზრს, რომ გარკვეული ეროვნების უცხოელების „არალეგალობა“ და „კრიმინალური იდენტობა“ შემდგარი მოცემულობაა. ამასთანავე, საპროტესტო აქციის ადგილზე განლაგებული მაღაზიებისა და კაფეების თურქულ და არაბულ წარმომავლობაზე აქცენტის გაკეთებით, გამოცემა ამ ეროვნებების კრიმინალთან და არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებას ირიბად ახდენდა:

> „აქციის მონაწილეები საქართველოდან ყველა იმ *არალეგალი მიგრანტისა და უცხოელის გაძევებას მოითხოვდნენ, რომლებიც კრიმინალთან არიან დაკავშირებული*“.

> „საქართველოს ტერიტორიაზე *უცხოეთის მოქალაქეების უკანონო მოქმედებების წინააღმდეგ* აღმაშენებლის გამზირზე რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვიდა ლოზუნგით „დაიცავი საქართველო“... მათ თამარის ხიდიდან აღმაშენებლის გამზირზე მარჯანიშვილის მოედნამდე ჩაიარეს. *გამზირის ამ ნაწილში თურქებისა და არაბების მაღაზიები და კაფეები განთავსებული*[142]“.

---

[142] Sputnik-საქართველო, თბილისის ცენტრში „ქართველთა მარში“ ჩატარდა. 15 ივლისი. https://sputnik-georgia.com/politics/20170715/236640265.html

აღნიშნულ მასალას ასევე ერთვოდა ფოტო, წარწერით „დატოვონ საქართველო მეძავეობისთვის და პედოფილიისთვის ჩამოსულმა უცხოელებმა“, რაც ნეგატიურ კონტექსტს კიდევ უფრო ამძაფრებდა.




**მიგრაცია.** მანიპულაციურად გააშუქა ასევე Sputnik-საქართველომ მიგრაციის თემა, სათაურით „საქართველო მიგრანტთა მიღების ინდექსით 117-ე ადგილზეა“. აღნიშნული მონაცემი გამოცემამ „Sputnik-ლიტვა“-ზე დაყრდნობით, მიგრანტთა მიღების საერთაშორისო ინდექსზე (Migrant Acceptance Index) მითითებით გამოაქვეყნა. სათაური მანიპულაციურია, რადგან ინდექსი მიგრანტთა „მიმღებლობას“ ანუ მათ მიმართ ცალკეული ქვეყნების დამოკიდებულებებს ასახავს და არა „მიღებას“, რაც მოცემულ შემთხვევაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქართველო 117-ე ადგილს მიგრანტთა მიღების მონაცემების საფუძველზე იკავებს. მასალისთვის შერჩეული ფოტო მანიპულაციურია და მასზე ბურქიანი ქალები არიან გამოსახული, რაც მიგრანტებს მუსლიმური იდენტობის ადამიანებთან აიგივებს.



სტატიას ასევე თან ახლავს ბმული სხვა პუბლიკაციაზე, სათაურით „ევროპის ქვეყნებმა საქართველოში 80 მიგრანტზე მეტი გამოაძევეს“, რაც დამატებით ნეგატიურ განწყობას ქმნის ევროპის საიმიგრაციო პოლიტიკის მიმართ.




**ისლამის ტერორიზმთან დაკავშირება.** გამოცემამ ავსტრალიელი სენატორის ქმედება, რომელიც პარლამენტში ჩადრით გამოცხადდა და მისი აკრძალვა მოითხოვა, მანიპულაციურად გააშუქა. პოლიტიკოსის ამ ქმედებას, რომელიც ჩადრის ტარებას უსაფრთხოების კონტექსტში განილიხავდა („ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების ფონზე, აკრძალავთ თუ არა ჩადრებს?“), Sputnik-საქართველომ ბექგრაუნდში დაურთო ინფორმაცია, რომლითაც ტერაქტებს მუსლიმთა იდენტობასთან აკავშირებდა:

> „გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მანამდე ავსტრალიელმა სამართალდამცველებმა თვითმფრინავში ტერაქტის აღკვეთა მოახერხეს. ორ *მუსლიმ ემიგრანტს*, 49 წლის ჰალედ მაჰმუდსა და 32 წლის მაჰმუდ ჰაიატს უკვე წარდგენილი აქვთ ბრალი ტერაქტის მომზადებაში. როგორც ირკვევა, ისინი ავიაკომპანია Etihad Airways-ის კუთვნილ თვითმფრინავში ბომბის შეტანას გეგმავდნენ, რომელიც სიდნეიდან 15 ივლისს ასრულებდა რეისს“[143].

**სათაურები.** კრიმინალის გაშუქებისას Sputnik-საქართველო სათაურებში მუდმივად ახდენდა ემიგრანტთა ეთნიკური თუ ეროვნული იდენტობის მითითებას, ძირითადად თურქი და ირანული ეროვნების პირთა მიმართ. მედიაში და საჯარო დისკურსში არსებული საერთო თურქოფობიული და ისლამოფობიური კონტექსტის გათვალისწინებით, ეროვნული იდენტობის ბმა კრიმინალთან, მათ შორის, მძიმე დანაშაულთან (სექსუალური ძალადობა, მკვლელობა, ნარკორეალიზაცია), ხელს უწყობს სტერეოტიპის გამყარებას, რომ აზიური იდენტობის უცხოელები კრიმინალები და გარყვნილები არიან.

[143] Sputnik-საქართველო, „ავსტრალიელი სენატორი სხდომაზე ჩადრით გამოცხადდა და მისი აკრძალვა მოითხოვა“, 17 აგვისტო. https://sputnik-georgia.com/world/20170817/237010639.html [5 ოქტომბრის მონაცემებით მასალა საიტზე ხელმისაწვდომი არ არის].

| თურქები | ირანელები |
|---|---|
| საქართველოს საპატიმროებში უცხოელთა შორის რაოდენობით თურქეთის მოქალაქეები ჭარბობენ[144] | ირანის მოქალაქე საქართველოში გარყვნილი ქმედებისთვის დააპატიმრეს[145] |
| თურქეთის მოქალაქეს საქართველოში მკვლელობის მცდელობისთვის 8 წელი მიესაჯა[146] | პოლიციამ განმუხურში ირანელი ნარკოდამნაშავე დააკავა[147] |
| საქართველოში ორი თურქი დააკავეს, რომლებმაც საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთეს[148] | GEM Fest-თან ახლოს ნარკოტიკებისთვის ირანის მოქალაქე დააკავეს[149] |
| | ირანის მოქალაქე თბილისში ნარკოტიკებისთვის დააკავეს[150] |

ტერორიზმის შესახებ მომზადებულ ინფორმაციაში „თურქულმა სპეცსამსახურებმა აზერბაიჯანელი ტერორისტი-თვითმკვლელები დააკავეს[151]", სათაურში ხაზგასმა შერჩევით აზერბაიჯანის მოქალაქეებზე კეთდება მაშინ, როცა თავად მასალაში საუბარია, რომ თურქეთის ხელისუფლებას, ტერორიზმის ბრალდებით, აზერბაიჯანის 3 მოქალაქესთან ერთად ბოსნია-ჰერცოგოვინის 2 მოქალაქე ჰყავდა დაკავებული.

**ტერმინოლოგია:** Sputnik-საქართველოს პუბლიკაციებში ტერორიზმთან და მიგრანტებთან მიმართებით შემდეგ ტერმინებს ვხვდებით:

| ტერორიზმი | მიგრანტები |
|---|---|
| მუსლიმი ექსტრემისტი | არალეგალი მიგრანტები |
| აზერბაიჯანელი ტერორისტი თვითმკვლელები | კრიმინალთან დაკავშირებული მიგრანტები |
| ბოროტმოქმედები | კრიმინალიტეტის წარმომადგენლები |
| „მოტივირებული ისლამიზმი" | უცხოეთის მოქალაქეების უკანონო მოქმედებები |
| ჯიჰადისტების თავდასხმა | კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები |
| ცენტრალური აზიის ქვეყნების შვიდი მოქალაქე (ტერორიზმში ეჭვმიტანილი) | |

144 Sputnik-საქართველო, 7 აგვისტო. https://sputnik-georgia.com/society/20170807/236892913.html
145 Sputnik-საქართველო, 21 ივლისი. https://sputnik-georgia.com/georgia/20170721/236709065/IRANIS-MOQALAQE-GARYVNILEBISTVIS-DAAPATIMRES.html
146 Sputnik-საქართველო, 9 აგვისტო. https://sputnik-georgia.com/incidents/20170809/236919574/turqeTis-moqalaes-saqartveloshi-rva-weli-sheefarda.html
147 Sputnik-საქართველო, 7 აგვისტო. https://sputnik-georgia.com/incidents/20170807/236893898/policiam-ganmuxurshi-narkodamnaSave-daakava.html
148 Sputnik-საქართველო, 11 აგვისტო. https://sputnik-georgia.com/incidents/20170811/236939270/saqarTveloSi-ori-Turqi-daakaves.html
149 Sputnik-საქართველო, 7 აგვისტო. https://sputnik-georgia.com/incidents/20170807/236893135.html
150 Sputnik-საქართველო, 9 აგვისტო. https://sputnik-georgia.com/incidents/20170809/236915070/iranis-moqalaqe-daakaves.html
151 Sputnik-საქართველო,16 ივნისი. https://sputnik-georgia.com/world/20170616/236334433/azerbaijaneli-teroristi-turqetshi-daakaves.html

# III. აზერბაიჯანული მედია

**რაოდენობრივი მონაცემები:** 3-თვიანი მონიტორინგის  პერიოდში (15 ივნისი-15 სექტემბერი) Oxu.az-მა მუსლიმებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე, კვლევის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულ თემატიკაზე, 206 ინფორმაცია (25 204 სიტყვა), ხოლო Big.az-მა – 78 მასალა (11 676 სიტყვა) მოამზადეს. ორივე გამოცემაში პრიორიტეტული თემები რელიგია და კავკასიის კონფლიქტები იყო (Oxu.az: რელიგია – 23,9%, კავკასიის კონფლიქტები – 15,2%; Big.az: კავკასიის კონფლიქტები – 24,7%, რელიგია – 23,9%). Oxu.az-ის შემთხვევაში ფართოდ გაშუქებული თემებია: პოლიტიკა (15,1%), ტერორიზმი (13,4%), ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (9,4%). თემატიკის პრიორიტეტულობაში იდენტური სურათი იკვეთება Big.az-ის შემთხვევაშიც, სადაც ტერორიზმს 15,9%, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს 8,3%, ხოლო პოლიტიკის სხვა საკითხებს 7,8% დაეთმო. ადამიანის უფლებები ორივე გამოცემაში 2%-ზე დაბალი მოცულობით გაშუქდა.

### დიაგრამა 20. თემების გაშუქება აზერბაიჯანულენოვან გამოცემებში




**კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში:** რელიგიის საკითხებს Oxu.az-ი 100%-იანი ნეიტრალური ტონით აშუქებდა, ისევე როგორც სხვა თემების უმეტესობას. თუმცა, გარკვეული ნეგატიური ტონი შეინიშნებოდა კრიმინალის (21,2%), დისკრიმინაციის (7,3%) და კავკასიის კონფლიქტების (2,1%) თემატიკის გაშუქებაში.

| OXU.AZ-ის სათაურები – ნეგატიური ტონი |
| --- |
| აზერბაიჯანელების მკვლელი დაკავებულია[152] |
| სომხური პროვოკაცია ფრონტზე: ჩვენი არმიის წევრი დაჭრილია[153] |
| ნორვეგიაში მუსლიმი ქალების შეურაცხყოფა[154] |

Big.az-ის შეთხვევაში კი რელიგია როგორც ნეიტრალურ, ასევე პოზიტიურ და ნეგატიურ ტონებშია წარმოდგენილი. ნეგატიური გაშუქება (31,5%) რელიგიურ რიტუალებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კრიტიკას უკავშირდებოდა. მასალაში „დაუჯერებელია! ჭირისუფლებმა უარი თქვეს მოლაზე. „ყურანს" Youtube-დან კითხულობენ[155]" აღნიშნულია, რომ, მართალია, ყურანი არ კრძალავს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, მაგრამ მისი ორიგინალში კითხვა მლოცველს გაცილებით დიდ სიამოვნებას ანიჭებს. რელიგიის პოზიტიური გაშუქების ტონი (29,1%) ძირითადად რელიგიური დღესასწაულების გაშუქებას უკავშირდება.

152 http://oxu.az/world/201810
153 http://oxu.az/war/205413
154 http://oxu.az/world/207007
155 http://big.az/284402-olu_yiyeleri_mollalardan_imtina_edir_quran_youtubedan_oxudulur.html

# IV. თურქული მედია

**რაოდენობრივი მონაცემები:** Cumhuriyet-მა 3 თვიანი მონიტორინგის პერიოდში (15ივნისი-15 სექტემბერი) მუსლიმებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს, მონიტორინგის ფარგლებში განსაზღვრულ თემებზე 101 ინფორმაცია (29 839 სიტყვა), ხოლო Milliyet-მა 118 ინფორმაცია (32 659 სიტყვა) დაუთმო. თუ Cumhuriyet-ის შემთხვევაში პრიორიტეტული თემები ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (23,6%), ურთიერთობები დასავლეთთან (22,2%), ტერორიზმი (18,1%) იყო, Milliyet-ის შემთხვევაში ყველაზე მეტი ადგილი დისკრიმინაციას (23,4%) დაეთმო, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები (15,4%), პოლიტიკა (12,3%) და რელიგია (12,1%) მოსდევს.

დასავლეთთან ურთიერთობებს Milliyet-მა 12,5%, ხოლო ტერორიზმს 12% დაუთმო.

### დიაგრამა 21. თემები გაშუქება თურქულენოვან გამოცემებში




**კონტენტის ტონი თემების გაშუქებაში:** Cumhuriyet-ი თემების უმეტესობას ნეიტრალური ტონით აშუქებდა. გამონაკლისი იყო ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში ნეგატიური ტონი (2,6%), რაც სირიაში შექმნილ ვითარებას უკავშირდებოდა[156], ასევე ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებ-

[156] „სიგნალი ერდოღანისგან სირიაში ოპერაციის შესახებ“. 28 ივნისი http://bit.ly/2hmrbEi

თან (65,2%), რაც ამერიკისა და კატარის შეთანხმებას შეეხებოდა[157]. ნეგატიურად გაშუქდა ასევე ტერორიზმის თემა (3,6%), რა დროსაც ესპანეთში გეი აღლუმი ხელოვნურად იყო დაკავშირებული ანტიტერორისტულ ოპერაციასთან.

## CUMHURIYET-ის სათაური

„ესპანეთში გეი აღლუმის კვირეულის დაწყებამდე ჯიჰადისტების საწინააღმდეგო ანტიტეტორისტული ოპერაცია ჩატარდა: 3 ადამიანია დაკავებული“[158]

თემების უმეტესობა ნეიტრალურად გააშუქა Milliyet-მაც, ნეგატიური ტონი აქ ტერორიზმს (30,3%) და დასავლეთთან ურთიერთობებს[159] (24%) უკავშირდებოდა. ტერორიზმის თემის ნეგატიური ტონიც დასავლეთის კრიტიკას უკავშირდებოდა[160].

ორივე გამოცემა აქვეყნებდა თურქეთის პოლიტიკური თანამდებობის პირების შეფასებებს, რომლებიც აშშ-ის, ევროკავშირის და გერმანიის მიმართ ნეგატიურ, ანტიდასავლურ გზავნილებს შეიცავდა (Milliyet-ი -17, Cumhuriyet-ი- 11).

157 „ფული საუბრობს... აშშ-მა კატარს 12 მილიარდი ღირებულების საბრძოლო თვითმფრინავი მიჰყიდა“. 15 ივნისი. http://bit.ly/2AE9Zmi

158 http://bit.ly/2zB7CCL

159 „გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ტყუილი ერდოღანის შესახებ გამოაშკარავდა“. 28 აგვისტო. http://www.milliyet.com.tr/almanya-disisleri-bakani-siyaset-2509028/

160 „პრემიერ მინისტრის მოადგილე ბოზდაღი: ქურთისტანის მუშათა პარტია და გულენისტების ტერორისტული ორგანიზაცია გერმანიაში დაცულები არიან“. 19 აგვისტო http://www.milliyet.com.tr/basbakan-yardimcisi-bozdag-dan-siyaset-2504949/

# V. სოციალური მედია

**მეთოდოლოგია.** სოციალურ მედიაში facebook გვერდების მონიტორინგი Fanpage Karma-ს ონლაინ პროგრამის მეშვეობით განხორციელდა. სამონიტორინგედ შეირჩა 3 ტიპის facebook გვერდები: 1. ქართულენოვანი სათემო და რელიგიური გვერდები, საიდანაც საქართველოს მუსლიმები იღებენ ინფორმაციას; 2. უცხოენოვანი სათემო და რელიგიური გვერდები, რომელთაც საქართველოდან ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს; 3. ულტრანაციონალისტური ჯგუფების გვერდები, რომლებიც მიგრანტთა და მუსლიმთა მიმართ თავიანთი გზავნილებითა და ქმედებებით, ხელს უწყობენ რადიკალიზაციის პროცესს. სულ ჯამში 12 ფეისბუკის გვერდის მონიტორინგი განხორციელდა.

15 ივნისიდან – 15 სექტემბრის პერიოდში დაკვირვების საგანი იყო აღნიშნული გვერდების აქტივობა, ყველაზე პოპულარული პოსტები და მათი ტიპოლოგია.

## 1. ქართულენოვანი რელიგიური და სათემო FACEBOOK გვერდები

**სუბიექტები.** მონიტორინგის სუბიექტად შემდეგი ქართულენოვანი სათემო და რელიგიური facebook გვერდი შეირჩა:

| N | ქართულენოვანი სათემო და რელიგიური გვერდები | აუდიტორია[161] |
|---|---|---|
| 1 | ჩეჩნეთი-чечня-Chechnya | 13 153 |
| 2 | ისლამში ქალი | 3 248 |
| 3 | სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო | 3 078 |
| 4 | ისლამის სკოლა | 2 758 |
| 5 | ქართველ მუსლიმთა კავშირი Georgian Muslims Union | 2 170 |

161 მონიტორინგის დასრულების დღის 15 სექტემბრის მონაცემების მიხედვით.

**აქტივობა.** როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, მონიტორინგის პირველ ნახევარში ყველაზე აქტიური იყო გვერდი „ისლამში ქალი“, ხოლო მეორე ნახევარში ჩეჩნეთი-Чечня-Chechnia, ისლამის სკოლის აქტიურობა კი მთელ სამონიტორინგო პერიოდზე თანაბრად ნაწილდება.

### დიაგრამა 1. ქართული რელიგიური და სათემო FACEBOOK გვერდების აქტივობის დინამიკა (15 ივნისი - 15 სექტემბერი, 2017)




**თემატიკა.** სამონიტორინგო პერიოდში ხუთივე გვერდის ყველაზე პოპულარული პოსტების თემატიკა მეტწილად რელიგიურ დღესასწაულებს ეთმობოდა. ამასთანავე გარკვეულ გვერდებზე პოპულარულთა შორის, ბავშვების და სამხედროების ლოცვის ამსახველი მასალებიც იყო წარმოდგენილი. პოპულარულ პოსტთა შორის მეორე კატეგორია კონფლიქტების თემას ეთმობოდა, მეტწილად მიანმარში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

### ცხრილი 1. ქართულენოვანი რელიგიური და სათემო გვერდების პოპულარული პოსტების თემატიკა

| ქართულენოვანი რელიგიური და სათემო გვერდები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თემები | ჩეჩნეთი-ЧЕЧНЯ-CHECHNYA | ისლამში ქალი | სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო | ისლამის სკოლა | ქართველ მუსლიმთა კავშირი |
| **რელიგია** | | 1. წმინდა ყადირის ღამის მილოცვა<br>2. Allah is Greatest (მუსლიმი ჯარისკაცების ლოცვის ამსახველი ფოტო)<br>3. მაშალლაჰ... ალაჰმა დაგლოცოთ (მცირეწლოვანი ბავშვების ლოცვის ვიდეო) | 1. ყურბან ბაირამის მილოცვა;<br>2. ბეშუმის მეჩეთში მოსწავლეების მიერ ყურანის კითხვა | 1. ყურბან ბაირამის ლოცვა (ვიდეო ბათუმიდან);<br>2. ყადირის ღამის ვედრების ტექსტი (ფოტო);<br>3. ყურბან ბაირამის დღესასწაულის მილოცვა მექადან | 1. ყურბან ბაირამის ლოცვა (ვიდეო ბათუმიდან);<br>2. Oc-media. org-ის სტატია ბათუმში ღია ცის ქვეშ ლოცვის შესახებ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **კონფლიქტები** | „ჯერ ღმერთი, შემდეგ ჩეჩენი“ (როგორ გადაარჩინეს ჩეჩენმა მებრძოლებმა აფხაზეთის კონფლიქტის დროს ქართველი გოგონები) | | „მსოფლიო დუმს!“ (მიანმარის მოვლენები) | | საპროტესტო განცხადება მიანმარში მიმდინარე მოვლენების გამო |

## 2. უცხოურენოვანი რელიგიური და სათემო FACEBOOK გვერდები

**სუბიექტები.** მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეული რუსული, ჩეჩნური და თურქულენოვანი გვერდებიდან Islam today ამავე დასახელების ონლაინ გამოცემის Facebook გვერდია.

| უცხოურენოვანი რელიგიური და სათემო FACEBOOK გვერდები | | | |
|---|---|---|---|
| ენა | გვერდის სახელწოდება | აუდიტორია | აუდიტორია საქართველოდან |
| რუსული | Islam today | 288 628 | 4 115 |
| ჩეჩნური | CHECHNYA | 15 541 | 2 149 |
| თურქული | Hz Muhammed - S.A.V Sevdalilari | 1 828 627 | 1 459 |

**აქტივობა.** მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი – 15 სექტემბერი) ყველაზე მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა თურქულენოვანი Hz Muhammed – S.A.V Sevdalilari-ი, რომელსაც მოსდევს რუსულენოვანი Islam today. შედარებით დაბალი აქტივობა იკვეთება Chechnya-ს გვერდზე.

დიაგრამა 2. 3 უცხოენოვანი FACEBOOK გვერდის აქტივობა
(15 ივნისი – 15 სექტემბერი, 2017)




**თემატიკა.** სამონიტორინგო პერიოდში უცხოენოვანი რელიგიური და სათემო fecebook გვერდების პოპულარული პოსტებიც ქართულის იდენტურ თემატიკას ასახავდა და რელიგიას, ასევე მიანმარის მოვლენებთან მიმართებით კონფლიქტებს შეეხებოდა. გამონაკლისი იყო გვერდი Chechnya-ს ვიდეო, რომელზეც კიევში დამოუკიდებელი იჩქერიის დროშის გაშლის ამსახველი კადრები გავრცელდა.

### ცხრილი 2. უცხოენოვანი რელიგიური და სათემო გვერდების პოპულარული პოსტების თემატიკა

| უცხოურენოვანი რელიგიური და სათემო FACEBOOK გვერდები | | | |
|---|---|---|---|
| თემები | რუსული<br>ISLAM TODAY | ჩეჩნური<br>CHECHNYA | თურქული<br>HZ MUHAMMED – S.A.V SEVDALILARI |
| **რელიგია** | 3 ყველაზე პოპულარული პოსტი ალაჰისადმი ვედრება (ფოტოები) | | წინასწარმეტყველი მუჰამედის აბჯარი (ფოტო) |
| **კონფლიქტები** | | ჩეჩნების საპროტესტო აქცია მიანმარში განვითარებული მოვლენების გამო | მიანმარში მუსლიმთა შევიწროების კადრები (ფოტო), რომელსაც ახლავს ყურანის სურა 9:129: „თუ ისინი ზურგს შეგაქცევენ (ო მუჰამედ) თქვი: საკმარისია ჩემთვის ალაჰი, არა არს ღვთაება გარდა ალაჰისა, ვენდობი მას და ისაა მპყრობელი ღვთიური ტახტისა“ |
| **სხვა** | | #Chechen Independence Anniversary.<br>#Украина #Ukraine (კიევში, მეიდანზე დამოუკიდებელი იჩქერიის დროშის გაშლა – ვიდეო) | |

## 3. ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების FACEBOOK გვერდები

**სუბიექტები.** მონიტორინგის სუბიექტებად იმ ულტრანაციონალისტური ჯგუფების ფეისბუქ გვერდები შეირჩა, რომლებიც მიგრანტთა მიმართ რადიკალური და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებებით გამოირჩევიან და აქტიურად იყვნენ ჩართულნი 14 ივლისს ამ ჯგუფების მიერ ორგანიზებული „ქართული მარშის“ საინფორმაციო მხარდაჭერაში. მარში „არალეგალი მიგრანტების“, კონკრეტულად კი აზიური და აფრიკული იდენტობის პირების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს გვერდებია:

| ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების FACEBOOK გვერდები | აუდიტორია |
|---|---|
| 1. WTF photos | 58 181 |
| 2. ანტი-პარადოქსი / Anti-Paradox | 46 671 |
| 3. ქართული იდეა / Georgian Idea | 45 951 |
| 4. ანტილიბერალური კლუბი / Anti-liberal Club | 32 928 |

**აქტივობა.** მონიტორინგის პერიოდში (15 ივნისი – 15 სექტემბერი) ყველაზე მაღალი აქტივობით ანტილიბერალური კლუბი და ქართული იდეა გამოირჩეოდნენ.

დიაგრამა 2. ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების FACEBOOK გვერდების აქტივობა (15 ივნისი – 15 სექტემბერი, 2017)




**თემატიკა.** 4 ულტრანაციონალისტური facebook გვერდის ყველაზე პოპულარული პოსტები ძირითადად აზიური და აფრიკული იდენტობის მიგრანტების, ასევე ლგბტ თემის წარმომადგენელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. პირველი კატეგორია ძირითადად 14 ივლისს ნაციონალისტთა მიერ ორგანიზებულ „ქართულ მარშს“ უკავშირდებოდა, მეორე – 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის (IDAHO) საპირწონედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაწესებულ ოჯახის სიწმინდის დღეს.

| ულტრანაციონალისტური ორგანიზაციების FACEBOOK გვერდები | | | | |
|---|---|---|---|---|
| თემები | WTF | ანტიპარადოქსი | ქართული იდეა | ანტილიბერალური კლუბი |
| **მიგრანტები** | ფოტო ბურქიანი ქალებით „აქ იყო თბილისი“ | ფოტო, წარწერებით „ირანელმა 5 არასრულწლოვანი გააუპატიურა“, „ინდოელებმა არასრულწლოვანი გააშიშვლეს და ფოტო გადაუღეს“, „იმართება ქართველთა მარში არალეგალი და კრიმინალი მიგრანტების დეპორტაციის მოთხოვნით“ | | ქართული მარშის აქცია მიგრანტების წინააღმდეგ |
| **ლგბტ** | | ვიდეო „ლგბტ აქციის დაშლა თურქეთში – ვისაც გინდათ, რომ საქართველოშიც მოხდეს იგივე, გააზიარეთ”. | „ქრისტეში გაერთიანებულ ერს ვერაფერი დაამარცხებს!!!“ აქცია ლგბტ თემის წინააღმდეგ 17 მაისს „ოჯახის სიწმინდის დღესთან“ დაკავშირებით | |
| **სხვადასხვა** | | | წმინდა კუშკას წინასწარმეტყველება ილია II-ის პატრიარქობაზე | ლიბერალების საწინააღმდეგო ფოტოკოლაჟი |

# დანართი
# მედია პროფილები

## I. ქართული მედია

**აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი:** აჭარის სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნა 2013 წელს „მაუწყებლობის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ განხორციელდა. არხის მმართველობას აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული 5 კაციანი მრჩეველთა საბჭო და მათ მიერ არჩეული დირექტორი ახორციელებენ.

**იმედი:** ტელეკომპანია იმედი 2001 წელს ქართველმა მილიარდერმა ბადრი პატარკაციშვილმა დააარსა, რომელიც 90-იან წლებში რუსეთში, სხვადასხვა კომპანიებში, მათ შორის რუსეთის საზოგადოებრივი არხის OPT-სა და TB-6-ის ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობდა. 2008 წელს ბადრი პატარკაციშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. 2007 წლის ნოემბერში ტელეკომპანიის შენობაში შსს სპეცრაზმის შეჭრის შემდეგ არხის მფლობელობა შეიცვალა. ტელეკომპანია პატარკაციშვილების ოჯახს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხელისუფლების ცვლილების შედეგად, სიმბოლურ ფასად დაუბრუნდა.

**ობიექტივი ტვ:** მედია-კავშირი „ობიექტივი" 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის" ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო. სხვადასხვა კვლევების თანახმად, „ობიექტივი" ანტიდასავლური, თურქოფობიულ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიშში ხელისუფლებას მიეცა რეკომენდაცია, არ გააფორმოს ხელშეკრულება, არსებობის შემთხვევაში კი გააქმოს კონტრაქტები ისეთ მედია საშუალებებს, რომლებიც სიძულვილს აღვივებენ.

**რუსთავი 2:** ტელეკომპანია 1994 წელს კერძო პირებმა –ეროსი კიწმარიშვილმა, ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა – დააფუძნეს. იმჟამად არხი სახელმწიფო ტელევიზიის პირველი ალტერნატიული სატელევიზიო პლატფორმა იყო. 2004-2012 წლებში, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, რუსთავი 2-ის საკუთრება 20-ჯერ შეიცვალა. პირველი ცვლილება 2004 წელს განხორციელდა, რის შედეგადაც ტელეკომპანიის წილები იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრთან, ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული ქიბარ ხალვაშის და მისი კომპანიის საკუთრებაში აღმოჩნდა. მოგვიანებით ხალვაშმა თავისი წილი გაყიდა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებაში ქართული ოცნების მოსვლის შემდეგ კი გაყიდული წილის დაბრუნებას სასამართლოს

გზით მიაღწია. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები ბიზნესმენ ხალვაშისა და ახალი მმართველი გუნდის „ქართული ოცნების“ საერთო ინტერესებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რისი მიზანიც ტელეკომპანიის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა იყო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის განჩინების აღსრულება, რომლითაც რუსთავი 2-ის მესაკუთრეთა ცვლილება „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული ხალვაშის სასარგებლოდ მოხდა, მხოლოდ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2017 წლის მარტის გადაწყვეტილებით შეჩერდა. ტელეკომპანიის წინააღმდეგ საკუთრებასთან დაკავშირებით 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ინიცირებული დავა ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების აზრით, საფრთხეს საქართველოში მედია პლურაზმს უქმნიდა.

**საზოგადოებრივი მაუწყებელი:** 1956 წელს დაფუძნებული სახელმწიფო ტელე-რადიო კორპორაცია 2004 წელს მიღებული მაუწყებლობის შესახებ კანონის საფუძველზე საზოგადოებრივ მაუწყებლად ტრანსფორმირდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც 2 სატელევიზიო და 2 რადიო არხზე მაუწყებლობს, სახელმწიფო ქონების საფუძველზე საჯარო დაფინანსებით მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ უნდა ექვემდებარებოდეს არც ერთ საჯარო უწყებას, იყოს დამოუკიდებელი ხელისუფლებისგან და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე. არხის მმართველობას პარლამენტის მიერ დამტკიცებული 9 კაციანი სამეურვეო საბჭო და მის მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი ახორციელებენ. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-16 მუხლი განსაზღვრავს შინაარსობრივ ვალდებულებებს, რომელთა შორის უმცირესობების ენებზე და უმცირესობების მიერ მათ შესახებ მომზადებული პროგრამების პროპორციული განთავსებაა.

**ინტერპრესნიუსი (IPN):** „ინტერპრესნიუსი“ (IPN.Ge), რომელიც 2002 წელს დაარსდა, ერთ-ერთი დიდი საინფორმაციო სააგენტოა. სააგენტო „მედია პალიტრას ჰოლდინგში“ შემავალი გამოცემაა, რომელიც ფლობს რადიო და სატელევიზიო სიხშირეებს, საგამომცემლო სახლს. სააგენტოს სხვადასხვა სამინისტროებთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს კონტრაქტები ინფორმაციის გავრცელებისა და სხვა საინფორმაციო მომსახურების მიზნით.

**ნეტგაზეთი:** ონლაინ გამოცემა ნეტგაზეთი გაზეთმა „ბათუმელებმა“ 2010 წელს დააფუძნა. ნეტგაზეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს.

**პირველი (PIA):** საინფორმაციო სააგენტო პირველი (PIA) 2006 წლის ნოემბერში კერძო პირებმა დააფუძნეს. სააგენტოს შემდეგი მედია გამოცემები უკავშირდება: Daijesti.ge, rubrica.ge, funtime.ge. გამოცემა სამთავრობო ორგანიზაციებიდან ინფორმაციის გავრცელებაზე საბიუჯეტო კონტრაქტებს იღებს.

**საქართველო და მსოფლიო:** „საქართველო და მსოფლიოს“ დამფუძნებელია შპს ისტორიულ მემკვიდრეობა, რომელიც დაარსებიდან დღემდე ტარას გაგნიძეს ეკუთვნის. „ისტორიული მემკვიდრეობა“ საჯარო რეესტრში 2009 წლის 28 იანვარსაა დარეგისტრირებული, ამავე წლიდან გამოდის გაზეთი „საქართველო და მსოფლიოც“. 2009 წელს „ისტორიული მემკვიდრეობის“ დაფუძნებას რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საჯაროდ მიესალმა. „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი შექმნის დღიდან არის პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა, მედვედევმა 2008 წლის ივლისში „რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სფეროში შეტანილი დიდი წვლილის გამო“ ორდენით დააჯილდოვა. ისტორიული მემკვიდრეობის პარტნიორია ასევე პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“. ანტიდასავლური სარედაქციო პოლტიკასთან ერთად გამოცემა ცნობილია თურქოფობიული, რასისტული და ჰომოფობიური შინაარსით.

## II. რუსული მედია

**НТВ:** ტელეკომპანია 1993 წელს ბიზნესმენმა ვლადიმერ გუსინსკიმ დააფუძნა. ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გუსინსკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ტელეკომპანიას კი რუსეთის ხელისუფლების 100 პროცენტიან მფლობელობაში მყოფი „გაზპრომის" შვილობილი კომპანია „გაზპრომ მედიას" სახით ახალი მესაკუთრე გამოუჩნდა. მესაკუთრის შეცვლის შემდეგ არხი რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის პროპაგანდას ეწევა.

**РТР ПЛАНЕТА:** რუსეთის სახელმწიფო ტელე რადიო კომპანია РТР ПЛАНЕТА ერთ-ერთი უმსხვილესი მედია ჰოლდინგია, რომელიც 1990 წელს დაარსდა, ტელეკომპანია РТР-მა კი მაუწყებლობა 1991 წელს დაიწყო. ის 24 საათიანი საინფორმაციო-გასართობი არხია. ამჟამად ჰოლდინგის შემადგენლობაში შედის Россия1, Россия24, Россия РТР, РТР-Планета. ყველა ამ არხს საინფორმაციო გადაცემები (Вести, Вести Недели) საერთო აქვთ. სახელმწიფო РТР ПЛАНЕТА-ს 100%-იანი წილის მფლობელია.

**რუსეთის I არხი ( 1 КАНАЛ):** რუსეთის 1 არხი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ტელე-რადიოკომპანიის „ოსტანკინოს" სამართალმემკვიდრეა. მან მაუწყებლობა 1995 წლიდან დაიწყო და 2002 წლამდე რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის (ОРТ) სახელით იყო ცნობილი. 2001 წლის იანვარში ტელეკომპანიის აქციების 49%, რომელსაც მანამდე რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი ფლობდა, რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებულ მილიარდერ რომან აბრამოვიჩთან დაკავშირებული კომპანიების ხელში გადავიდა, დირექტორთა საბჭო კი თითქმის მთლიანად სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებით შეივსო. წლების მანძილზე სხვადასხვა კომპანიებს შორის წილების გადანაწილების შემდეგ, 2016 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც კომპანია ОРТ-КБ შეიძინა, აბრამოვიჩი უკვე ოფიციალურად გახდა რუსეთის 1 არხის აქციების 24%-ის მფლობელი, აქციების 38.9% ეკუთვნის სახელმწიფო საკუთრების მართვის ფედერალური სააგენტოს (Росимущество), 25% კი – კომპანია "Растрком-2002"-ს, რომელიც რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან დაახლოვებულ პირებს ეკუთვნით.

**SPUTNIK-საქართველო:** სპუტნიკი მულტიმედიური საერთაშორისო პროექტია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის 2013 წლის 9 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა. სპუტნიკმა, რომელსაც რუსეთის მთავრობა ფლობს, საერთაშორისო არენაზე საინფორმაცია სააგენტო RIA Novosti და "რუსეთის ხმა" ჩაანაცვლა. საქართველოში „სპუტნიკმა" რადიო მაუწყებლობის დაწყება 2014 წლის ნოემბერში FM 101.4 სიხშირეზე უკანონოდ სცადა, რის გამოც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მას სანქცია დააკისრა. „სპუტნიკ-საქართველოს" საჯარო რეესტრში ოფიციალურად 2015 წლის 23 იანვარს დარეგისტრირდა. მისი 100%-იანი წილის მფლობელი ანტონ (ტატო) ლასხიშვილია, რომელიც 1991 წლიდან გაზეთ „სვაბოდნაია გრუზიას" ხელმძღვანელია. სპუტნიკის ქართულენოვანი ონლაინ პლატფორმა ანტიდასავლური განწყობების და სხვადასხვა დეზინფორმაციის წყაროა.

## III. აზერბაიჯანული მედია

**BIG.AZ-ი:** Big.az გასართობი ონლაინ გამოცემაა, რომელიც 2005 წელს დაფუძნდა. საერთაშორისო თუ ადგილობრივი შოუ-ბიზნესის სიახლეების გარდა, გამოცემა მიმდინარე მოვლენებსაც აშუქებს.

**OXU.AZ-ი:** „გარანტ მედია ჰოლდინგ"-ში შემავალი საინფორმაციო სააგენტო Oxu.az 2013 წელს დაფუძნდა. სააგენტო აზერბაიჯანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი.

## IV. თურქული მედია

**CUMHURIYET:** Cumhuriyet-ის ბეჭდვითი ვერსია 1924 წლიდან გამოდის, ონლაინ გამოცემა კი 1998 წლიდან. მისი მფლობელი Cumhuriyet Foundation-ია. Cumhuriyet-ი ლიბერალური გამოცემაა, რომელმაც შარლი ებდოს მუჰამედის კარიკატურები სოლიდარობის ნიშნად გამოაქვეყნა.

**MILLIYET:** მილიეთი თურქული საინფორმაციო სააგენტოა, რომელიც 1950 წელს დაფუძნდა. დღეს-დღეობით ის თურქეთში ყველაზე რეიტინგული ონლაინ გამოცემაა. მისი მესაუთრეა „დემირორენ ჯგუფი". გამოცემის ყველაზე ცნობილი სკანდალი ჟურნალისტ ეჯე თემელკურანის სამსახურიდან დათხოვნას უკავშირდება, მას შემდეგ, რაც თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა იგი თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული სტატიის გამო საჯაროდ გააკრიტიკა .

MDFGEORGIA.GE